

ფასი სამი შაური.

ახალ სიყვარულს

# აგებები

ქველის დროების ხალხებზედ.

I.

უწინდელი

ინდოელები და. მგვიბტელები.

თფილისი.

მელიქიშვილის და კამ. სტამბაში.

1866 წელსა.



მხრებ სიკეთისა

# აგებები

ქველის დროების ხალხებზედ.

I.

უწინდელი

ინდოელები და ეგვიპტელები.

36596

თფილისი.

მელიქიშვილის და კამ. სტამბაში.

1866 წელსა.



*Дозволено ценсурою. Тифлисъ. 1-го Августа  
1866 года.*

## მთარგმნელის აკან.

მრთი ჩვენი დროების გამოჩენილი მწერალი ამბობს, რომ ხალხის წინ წასვლა და წარმატება მეცნიერებისა (სწავლის) შემატებაზე ჰკიდიაო. ჩვენ ქართველებმა ამ სიტყვებს შეტის მეტათ ყურადღება უნდა მივაქციოთ: ჩვენს დროებაში თუ ქართველმა ქართული ენის შეტი სხვა ენა არ იცის, რომლისამე მიზეზით, რაც უნდა სწავლის მიღება სურდეს, რაც უნდა შრომა უნდოდეს,—სწავლას მოკლებულია.

თუ ჩვენთვის ნამდვილათ ძვირფასია ხალხის სიკეთე, უნდა ვეცადოთ რამდენათაც ღონე მოგვდევს, დროება მოგვითხრობს და გარემოება ნებას გვაძლევს, რომ ეს მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ სვინიდისიანათ. სიმართლე მოითხოვს ხალხის წვითა და დაგვით გამოზდილ შეილებისაგან ხალხის სხვა და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა. შინც ამ ერთის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ღონესა ჰგრძნობს, დროა, რომ მონაწილეობა მიიღოს.

რადგანაც ჩვენი მკითხველები არა თუ მომზადებულები, კითხვასაც შეჩვეულნი არ არიან, ამისა გამოთ რასაკერელია, იმისთანა სასწავლებელი წიგნების თარგმნა ან შედგენა მეროპაში რომა

ხმარობენ, — ჯერ, ჩვენის აზრით, უსარგებლოთ დარჩებოდა. არც საზოგადოთ სახალხო (პოპულარული) წიგნები იქნებოდა გასაგონი, რადგანაც სხვა გვარ წამკითხველებისათვის არის დანიშნული. ჩვენი წამკითხველებისათვის ჯერ ჯერობით მარტო იმ გვარი სახალხო (პოპულარული) წიგნები გამოდგებოდა, რომელიც ადვილათ გასაგონია.

შეცადოთ ეს გადასასვლელი პერიოდი ლიტერატურისა დავაჩქაროთ, შეძლების და გვარათ შევამოკლოთ, რომ დაუახლოვოთ იმ მდგომარეობას, რომელშიაც შეროპის განათლებულ ხალხის ლიტერატურაა.

ამ სიტყვებს მივაქცევ ცოცხლებისაკენ და არა იმათკენ, რომელნიც ცოცხლებში ურევინ, ხოლო მკვდართათანა შეირაცხნეს.

1866 წ. მაისი.

# აქებები.

## ქველი დროების ხალხებზედ.

### I.

#### უწინდელი

#### ინდოელები და ეგვიპტელები.

ზაფხულში რომ მინდორზე გამოხვალ და უყურებ ამწვანებულ მთასა და ბარსა, მოზიბინე მოსულ ყანასა, როგორღაც კარგათ გეჩვენება ეს ქვეყნიერობა. რა არ არის დედამიწის ზურგზე, მთა, წყალი სხვა და სხვა ბალახი, ტყე, მფრინველი და ყოველი გვარი პირუტყვია.

მრთხელ კი მეტათ ძველის-ძველათ ყოფილა დრო, რომ ქვეყანაზე არა თუ ყანა, ბალახის ამოსავლელი უბრალო ადგილიცკი (ნიადაგი) არა ყოფილა; დედა მიწა ქვასება ყოფილა და წყალი ჰაერში შავ ღრუბელსავითა. შემდეგ ნელნელა წყალი ქვეყანაზე დამჯდარა, ზღვებათა და ტბებათ გამხდარა და ჰაერი გაწმენდილა... მერე სულ

ნელნელა ქვეყანა გაკეთებულა, გაწყობილა, ხეც ამოსულა, ფრინველიც გაჩენილა და ყოველ გვარი სულდგმულიცა. . . შოთოლი და მძოვრი დამჯდარა მიწაზე, დამპალა, დაშლილა, წვიმა და წყალი ქვას გასჯდომია და დაუშლია, ესე ერთმანერთთან არეულა, ბალახისა და თესლის ამოსავლელი ადგილი (ნიადაგი) გამხდარა.

ქვეყანა ღღევანდლამდინ სულ იცვლება და ცხოვრობს: ერთგან ადგილი მალღდება, სხვაგანა დაბლღდება; ზოგან ახალი მთები ჩნდება, ზოგან ნელნელა ჯერ პატარა საწყლეს და ხევი ჩნდება. . . ღელა მიწის ზურგი ისე ნელნელა და დიდხანს იცვლება, რომ ადამიანი თითქმის ვერ შეამჩნევს. აი საინგლიზოში (ინგლიზის ქვეყანაში, ანგლიაში) ამ 800 წლის წინათ, საცა ზღვა ყოფილა და გემებს უვლია—ეხლა მთებია. სხვა ადგილებში, საცა აღრე ხმელეთი ყოფილა, ეხლა ზღვაა.

რამდენიც კი რამ არის ქვეყანაზე: სხვა და სხვა ბალახი და ხე, ან თუ ფრინველი, ნადირი და სხვა სულდგმული—სულ ყველა ერთი ერთმანერთზე უკეთესია, ტანის აგებულობით და მოწყობილობით, ერთი მეორეს სჯობია. აი ხე მშვენიერათ იზდება, ხარობს, მაგრამ ადგილიდამკი ვერ დაძრულა. თევზს თუმცა არც ხელი, არც ფეხი და არც ხმა აქვს და ხმის მაგიერათ რალაც პატარა ცმატუნის იცის, მაგრამ მაინცკი ხეზე მოწყობილი აგებულება და მომართული სხეული აქვს: ცურვა შეუ-



ძლია საითაც უნდა, და სახედველათ თვალიცა აქ-  
ვს. ნადირი უფრო ტანით მოწყობილია: ოთხფეხაა.  
მფრინველს ორი ფეხი აქვს, ხელების მაგიერათ  
ფრთები. ნადირი ბლუფის, მფრინველსკი მღერა  
შეუძლიან. მფრინველები ჯგუფჯგუფათა სცხოვრო-  
ბენ. აი ვთქვათ არწივები (ორბები) სულ სანადი-  
როთ ერთობით დადიან. აფრინდებიან ძალიან მა-  
ღლა და ერთმანერთზე ნახევარ ვერსის სიშორეზე  
ნადირს უთვალთვალევენ, ეძებენ. რაკი ერთ ერთი  
ორბი დაინახამს, მაშინვე დასძახებს: ყველანი იმი-  
სკენ მიეშურებიან. . . მაიმუნიკი ყველა პირუტყვ-  
ზე ოსტატია; რასაცკი აღამიანი აკეთებს, თუ ნახა  
იმასაც შეუძლია იმისი გაკეთება. ხელებზე თითე-  
ბიც მოგრძო აქვს, ფეხებზე მოკლე; რადგანაც  
სულ ხეებს ეტოტინება, ხელებით დაჭერა იცის და  
რაც უნდა იღებს. . . ველური (გარეული) ხალხი  
ამბობს: „მაიმუნს ლაპარაკი შეუძლიანო, მაგრამ  
ძალიან ზანტიაო“.

აღამიანი სუყველაზე ზემოთა დგას, სუ-  
ყველაზე ხერხიანია. თუმცა პირუტყვმაც ფიქრი  
და მოაზრება იცის, მაგრამ კაცის ფიქრი და  
მოაზრება მომატებულია, უფრო ოსტატურია  
და კაცს ლაპარაკიც შეუძლია. მაგრამ კა-  
ციც არის და კაციცა,—განსხვავებაა. ზოგი  
ხალხია, რომ გარეულია, ველურია, ისე ცხოვ-  
რობს, თითქოს აღამიანი შვილი არ იყოს, პირუ-  
ტყვი იყოსო: ამისთანა ველური ხალხნი ტან-

შიშველა დადიან, უბრალო რაზედმე ერთმანერთს ეომებიან,—ტყვეს წაიყვანებენ ხოლმე, ცეცხლს დაანთებენ და მოხარშვენ; ფერხულს გააბამენ და ცეკვაობით ცეცხლს გარს უვლიან; მასუკან ტყვე კაცის მოხარშულ ხორცსა სჭამენ... იმისთანა ველური ხალხიცკია, რომ შვილები რა მოეზღებათ, ივიწყებენ, აღარა სცნობენ... ასე სხვა და სხვა კაცში განსხვავებაა და ამის გამო სხვა და სხვა გვარის კაცს თავის მოყვანილობა და სახე სხვა და სხვა ნაირი აქვს: ნეგრები (ჩვენ რო არაბებს ვეძახით) შავები არიან, ამერიკელები სპილენძის ფერისანი არიან, ევროპიელები (საფრანგეთის მხრის ხალხი) და იმათი მეზობელი ხალხი ჩვენსაებ თეთრები არიან. ამ ხალხებში ყველაზე ჭკვიანი თეთრი ადამიანია.

ჭკუით სადამდინ არ მივიღა თეთრი ადამიანი: სახლები აიშენა დიდრონი და ქვიტკირისა, გაიკეთა ხიდები და რკინის გზები, რომ თორმეტი საათის (დილით სადამომდის) ფოშტით სავალ გზას ერთ საათის სავალსა ხდის და უფრო ნაკლებსაც.—ზაიკეთა ტელეგრაფები, რომ თხუთმეტი დღის ფოშტის სავალ გზის სიშორიდგან ერთ დღეში და უფრო მალეც ამბავი მოგვივა.—წიგნის ბეჭედა, სტამბა მოიგონა; და ყველა იცის რაც არის ქვეყანაზე; სხვა და სხვა ღურბინდები გააკეთა, ასე რომ ყველა ვარსკვლავები სჩანს და ყველა გამოანგარიშებული აქვს, როდის რა ვასკვლავი ან კუდიან-

ნი-ვარსკვლავი გამოჩნდება, მზე როდის დაბნელდება, დღე როდის და რამდენ წამს (მინუტს) იკლებს ან იმატებს. იქნება მალე გამოიანგარიშოს კაცმა კიდევ, როდის რა დარი იქნება, წვიმა როდის მოვა, ავდარი როდის იქნება. . . . შეელა კაცი ცდილობს, რომ უკეთესათ იცოცხლოს, შეწუხება არა ჰქონდეს, რამდენათაც კაცი ჰკვიანია, რამდენიც მეტი იცის და სწავლა მეტი აქვს, იმდენათ თავის ყოფა ცხოვრებას უკეთესად მოაწყობს ხოლმე. ასე, რამდენათაც ხალხი ჰკუით წინ მიდის, იმდენათ ომიანობა იშვიათათ და იშვიათათ მოხდება ხოლმე. . . როცა ომიანობა სულობით აღარ იქნება, უფრო შეუფიწროებელათ იცხოვრებს კაცი და უფრო უკეთესათ მოაწყობს თავის ყოფა ცხოვრებასა.

მაგრამ კაცი უეცრათ კი არ მიხვდება ამებსა: თავდა-პირველათ აღამიანმა არც ტანისამოსი იცოდა, არც სახლი: ან გამოქვაბულ კლდეში, ან ხეს ქვეშ ეფარებოდა ღამე დასაძინებლათა. შემდეგ ერთმა ფეიქრობა მოიგონა, მეორემ ფერადი წამალი იპოვნა, მესამემ მინის გაკეთება მოიგონა, მეოთხემ—წიგნის წერა, მეხუთემ—ქალაქის გაკეთება, მეექვსემ—თოფის წამალი და სულ ასე ნელ-ნელა მოიგონეს. და რამდენსაც ხალხი მეტხანსა ცხოვრობს, იმდენათ უფრო მდიდრდება. უწინ ძველ დროებში თითონ ხელმწიფეები ხის სახლებში მდგარან; ფრანცუზების ერთ მეფეს ერთი ზე-

წარიჰქონია და დედოფალს-სულ ორი საღვთოქი...  
მხლა კი ბევრსა აქვს. ძველის ძველათ მიწის ხენა  
არა სცოდნიათ, ველურ კაცსავეთ უცხოვრიათ;  
თითო ოჯახობით ცალცალკე მდგარან, ქალაქები  
არა ყოფილა; თევზი უჭერიათ, მფრინველი უნა-  
ღირნიათ და ისე გამოსულან; ცეცხლის გაჩენაცკი  
არა სცოდნიათ პირველ ხანებში.

ახლანდელ ველურ კაცებსავეთ უწინდელ  
კაცებს სულ ცალცალკე ერთმანერთზე მოშორე-  
ბული უცხოვრიათ, -გზა არა ჰქონიათ გაკეთებული  
და მისვლა მოსვლა არა სცოდნიათ. შველა თემი  
თავის ადგილას გაცალკეებული მდგარა და რაც  
უნახამ, მარტო ისა სცოდნებია. წიგნი არა ყოფილა,  
რომ წაეკითხათ და შეეტყუათ რამე, წამსვლელ-მამ-  
სვლელიც არა ყოფილა. საცა მდგარან და რაც  
უნახამთ, ისა სცოდნებიათ. მხლანდელი ველური  
კაცებიც ისე სცხოვრებენ... აი ბრენლანდიელები,  
ზღვის პირასა დგანან ცივს ადგილასა. თითქმის  
იმათში მოსავალი არ მოდის, მარტო თევზს იჭე-  
რენ ზღვაში და იმითი გამოდიან... ამის გამოთ  
ამბობენ, სამოთხე ზღვის პირას არისო; ღმერთები  
იქა დგანანო და საუკეთესო თევზსა სჭამენო.  
ბრენლანდიელებს ჭამა უყვართ. მინც ბევრსა სჭა-  
მს, ისა სჯობია ყველასაო. უმეტეს სიამოვნება  
იმათთვის არ არის, როცა ხედვენ, რომ ყმაწვილი  
გაუმაძღრათა სჭამს.

აი კიდევ ძამჩატკელებს (სიმბირის ერთ ბო-

ლოშია) თბილი წყარო წმინდათა სწამთ: ღმერთები იმაში თევზსა ხარშვენო. ამ წყაროებში ცხელი წყალი მოდის; იმათაცა ჰგონიათ: აქ ღმერთები სადილს იხარშვენო!

სხვა ხალხები სამუდამო ცეცხლთანა დგანან: გაზი (\*) მიწიდგან ამოდის და მოუწყვეტლივ ანთია, ამ ალს ღმერთსავით თაყვანსა სცემენ. ამ გვართ ბაქოს ახლოს რამდენიმე მლონი (ცეცხლის თაყვანის მცემელი) მიწილამ ამამავალ ალზე ლოცულობენ.

პირველი ადამიანის ცხოვრება ადგილზე ეკიდა. მეტადრე ცივ ადგილს ცხოვრება ძნელი იყო, რადგანაც არც კაი სახლის აშენება იცოდა კაცმა, არც მიწის შემუშავება. . . სანადიროთ დადიოდა და თევზს იჭერდა, — ამითი გამოდიოდა.

---

(\*) გაზი ხომ ლურსმის ამოსაღებსა ჰქვიათ, მაგრამ გაზი კიდევ ჰაერის მგზავს სხეულსა ჰქვიათ. აი მაჭარი რო დულს, ეტყობა რომ წვრილწვრილი ბუშტები ამოდის და სქდება, ამ ბუშტებში გაზია, ამ გაზისაგან არის მაჭარი სუსხიანი. რო ვიტყვით ხოლმე ნახშირი დაიწვა, ქაფური გაქრაო: ქაფური გაზათ იცვლება და ნახშირიც იცვლება, ზოგი ნაცრათა და ზოგი გაზათა და ეს გაზები ჰაერშია, მაგრამ რადგან ფერი არა აქვს, იმიტომ ვერა ვხედავთ. გაზი ბევრ გვარია. ზოგი ერთი ისეთია, რომ ალი თუ ახლოს მიიტანე, მოეკიდება და აინთება. ამისთანა გაზი ახტალის წყლებს აზღის.

სხვა ადგილებში საცა თბილი ჰაერი იყო, საცა მომცემი მიწა იყო და სხვა და სხვა მოსავალი თავის თავათ მოდიოდა—იქ ადამიანი ადვილათა სცხოვრობდა. ხალხი მრავლდებოდა, ქალაქებს აშენებდნენ, მდიდრდებოდნენ, სახელმწიფოებათა ხდებოდნენ, ერთმანერთთან ვაჭრობასა მართავდნენ და ფულსა სჭრიდნენ.

აი აქ ვაპირობთ ამბავის მოთხრობას, უწინდელი ინდოელები და ეგვიპტელები, როგორა სცხოვრებდნენ. ადგილი კარგი ეჭირათ; ჯერ ისევ ძველის-ძველ დროებაში მდიდრები იყვნენ, სახელმწიფოები ჰქონდათ და წიგნი იცოდნენ. მაგრამ ძალიან ამაოთ მორწმუნენი (ცრუ მორწმუნენი) იყვნენ და ვერასფრით ვერ მიხვდნენ რომ კანონები სამართლიანი ჰქონებიყოთ.

---

## უწინდელი ინდოელები

---

### 1.

პრიის ხალხი და იმისი გადასახლება.

ამ ჩვენ ქვეყნიდგან, საქართველოდგან რომ ჯერ სულ ქვემოთ სამხრეთისაკენ იაროს კაცმა, თავრიზზე წავიდეს და მერე აღმოსავლეთისკენ გაიაროს მთელი ყიზილბაშის ქვეყანა (სპარსეთი), ინდოეთში მივა. ინდოეთს სამი მხრით ზღვა არტ-

ყია და შეოთხე მხარეს—დიდრ მალალი მთები. ამ მთებზე ზამთარ-ზაფხულ თოვლი დევს მოუკლებ-ლივა. ეს თოვლი დნება და ამის გამო მთებიდამ სხვა და სხვა წვრილი და დიდი მდინარე წყლები მოდის; ყველაზე დიდი მდინარე ინდოსია და მანგესი. ეს ინდოეთის ქვეყანა დიდი ქვეყანაა. ობილიო ცხელი ჰაერია იქ. თოვლიან მთებთან უფრო გრი-ლა, მოთბო ჰაერია; მთების ქვემოთ, სამხრეთისა-კენ სიციხეა,-ყოველ გვარი მცენარეა, ბალახი, ხისა და დედამიწის მოსავალი მოდის იქა. არის სხვა და სხვა მფრინველი, ინდოური და ყოველ გვარი პირუტყვია: სპილო, ვეფხვი, მაიმუნი და სხვა. . . ინდოეთის ერთ მხარეს, შაშმირს, ძველათ „სამო-თხის“ მხარეს ეძახდნენ.

შუინ, ძალიან უწინ, ორი ათასის წლის წინათ შრისტეს დაბადებამდინ და ამ ოთხი ათასის წინათ ჩვენ დრომდინ—ჩრდილოეთის მხარეს, თოვლიან მთებთან ახლოს, ინდოსის მდინარეზე არიის ხალ-ხი ყოფილა. ძველის ძველ დროებითგანვე ამ ხალ-ხმა დიდრონ თემობით, ნაწილობით დაიწყო თუ-რმე ცხოვრება, მწყემსობა იცოდა და ხვნა-თესვა-ცო ხალხი ჭკვიანი გონებიანი იყო. მაგრამ მაინც კი ჯერ ძალიან ცოტა ხანი ეცხოვრა და ძალიან ცოტა იცოდა. ბევრის რისამე ეშინოდა, ყველა-ფრისა ეშინოდა, რაც არ იცოდა; მეტადრე სიბნე-ლისა ეშინოდა. ძიდევ იმიტომ მზეს ღმერთსავით თაყვანსა სცემდა და სინათლისათვის მადლობას

აძლევედა. . . ამ ხალხს ასე ეგონა, მზეს თუ უნდა ამოვა, თუ არა და არაო. არ იცოდა: „ხვალ გატენება იქნება, თუ არა? დღე მოერევა ღამესა, თუ არაო?“ შიშობდა და შიშისაგან მზეს ლოცულობდა; ეშინოდა: „რა გვეშეველება, რომ სულ ღამე იყოსო?!“ მაგრამ მეორე დღეს მზე ისევ ამოდინდა. არიელ კაცს უხაროდა, მზეს აღიდებდა, მანათობელ ცას მადლობას აძლევედა. მის სინათლეს ინდრას ეძახდნენ; ინდრა იმათ პირველ ღმერთათა: სწამდათ. . .

შავი ღრუბელი რომ წამოვიდოდა, მოწმენდილ ჰაერს დააბნელებდა და ცას (ინდრას) წამოეხურებოდა, არიელები შიშით უყურებდნენ. . . მერე სიხარულით მადლობასა სწირამდნენ ინდრას, რომ ელვა აიღრგო, შავი ღრუბლები გააპო და თავისი მტერი გაჰფანტაო. . . მზეც აგრეთვე „ყოველის მხედველ, ყოველის მცოდნე“ ღმერთათა: სწამდათ. ზანთიადიც (ალ იონ ი) ღვთაებათ: მიაჩნდათ, მზის ქალიაო. . . ამისა გამო ინდოელებს ეგონათ: ღმერთების სამყოფი ადგილი ზეცა არისო.

აი ამ ღმერთებს ევედრებოდნენ და ლოცულობდნენ: კაი მოსავეალი, კაი ყანა მოგვიყვანეო, საქონელს და შინაურ პირუტყვს ხუ დაგვიზიანებო და ყველას ევედრებოდნენ. იმათ ღმერთებს: ცას, მზეს, განთიადს, რადგანაც ყოველ დღე ხედამდნენ, რომ იყვნენ და არა კვდებოდნენ, უკვდავები დაარქვეს და დარწმუნდნენ, რომ იმათი ღმერთები:



უკვდავნი არიან. მოსამადრიელებლათ ღმერთებს შესაწირავს (მსხვერპლს) სწირავდნენ, თაყვანსა სცემდნენ, სასმელი და საჭმელი მიჰქონდათ იმათთვის. . . ასე ეგონათ რომ „ღმერთებს უიმათ საჭმელოთ გაძლება არ შეუძლიანთ“. იღებდნენ მთის მცენარეს (ბალახს) ს.ო.მ.ას სწურავდნენ და წვეწვს ჭურჭლით მიართმევდნენ ღმერთებსა. სჯეროდათ, რომ ეს სასმელი გაძლომის გარდა, ღმერთებს კიდევ სხვა ძალას აძლევსო.

ინდოეთის არიელები უფრო მწყემსობითა ცხოვრობდნენ და ძალიან ხშირათ ებრძოდნენ ერთმანერთს ძროხის თაობაზედ. ძაი საძოვარი მინდვრების საშოვნელათ არიელები დაიძრნენ ინდოსის მდინარიდგან და თან და თან წინ წინ დაიწვივნენ და ნელნელა მთელ ინდოეთს მოეფინნენ. . . მანამ არიელები სულ არ მოერივნენ, ინდოეთის ძველათ მცხოვრებელი ხალხი არ უშვებდა იმათა, დიდხანს ეომებოდა.

ომიანობის დროებში არიელები მივიდნენ ინდოეთის უკანასკნელ სამხრეთის ბოლომდინ. ამ ომიანობის დროებში ბევრი მეომარის სახელი გაითქვა, მეტადრე რამა-ფალევანისა. ამბობენ, რომ ამ რამამ „მაიმუნებთან“ (1) პირობა შეჰკრა და იმათის შემწეობით მდიდარი კუნძული ცეილონიც კი დაიჭირაო.

---

(1) მაშინ ლეკანის ქვეყნის ველურ ხალხს მაიმუნებს ეძახდნენ.

ეს ახალი მდიდარი ადგილები ვერცხლითა და  
ოქროთი; დიდრონი და ხშირი ტყეები, მეტათ  
მომცემი მიწა, მეტისმეტი სიციხე, ეს ყველა მიზე-  
ზი იყო, რომ ინდოეთის ხალხი ყოფა ცხოვრებით  
წინ ველარ წავიდა, ვერ გაკეთდა, ვერ გაიხსნა. ეს  
სიციხე ჰაზრსა და გონებას უძინებდა; სიციხისაგან  
მოხდა, რომ ამ ხალხმა სიზანტეს მისცა თავი, განე-  
ბიერდა. შევლა ახალი და ახალი ინდოელების  
სარწმუნოება იმას ასწავლიდა, რომ სიცოცხლის  
ჰაზრი სრული ნებიერობა და უსაქმობა არისო.

2.

## კასტები. (1)

ინდოსის მდინარიდგან ინდოეთში, რომ გადა-  
სახლდნენ არიელები იქაურები, იქაური ხალხი  
სულ დაიმორჩილეს და ამპარტავენათ ეპყრობოდ-

(1) კასტა ისეთი წოდებაა, რომ ვერაფრისთანა სამსახურით  
ერთი წოდებიდგან მეორეში ვერ გადავა კაცი. აი ვსთქვათ  
ჯარის კაცი, შვილის შვილობამდინ ჯარის კაცათ უნდა ყო-  
ფილიყო, სამხედრო წოდებაში უნდა დარჩენილიყო: ხელოს-  
ნის ჩამომავლობა — ხელოსნათ უნდა დარჩენილიყო, სამხედრო  
წოდებისა ვერ გახდებოდა. სამხედრო წოდებისა — ხელოსნობას  
ვერ დაიწყობდა, ხელოსნობის წოდებაში ვერ შევიდოდა. ამის-  
თანა წოდებები, კასტები ინდოელებში იყო.

ნენ, დაბალი ხალხიაო. დამარცხებული ხალხი ყველაზე დაბალი წოდება, დაბალი კასტა გახდა. ამ კასტის კაცს სუდრას ეძახდნენ. სუდრებს არ შეეძლოთ ერთი ბეწო მიწა ჰქონოდათ; არიელების ყმები იყვნენ და იმათს მიწებზე იყვნენ დახიზნულები; სჭამდნენ ძაღლის ხორცსა; ჭურჭელს მარტო დამტვრეულს აძლევდნენ იმათა; ბეჭედი და საყურე რკინისა ჰქონდათ. არიელებს თავი მაღლა ეჭირათ და დიდათ მოჰქონდათ და არიელისა და სუდრის ერთმანერთთან ცოლ-ქმრობა ძალიან აკრძალული იყო.

მალე თითონ არიელებიც დაიყვნენ რამდენსამე კასტებათ. ინდოსის მდინარიდამ ინდოეთში გადასახლდა ხალხი, დაიწყო ხელოსნობა და ხენათესვა. ინდოეთის ძველ მცხოვრებლებთან ომიანობა კი ჯერ ისევ იყო. ომიანობას მთელი ხალხი არა ხდილობდა, ომობდა მარტო ჯარი. ეს მტერს ამარცხებდა, ქონებასა შოულობდა და შეადგინა მდიდარი კასტა ჯარის კაცებისა, კეთილშობილებისა (ქშატრიებისა). შემდეგ ომიანობა თუმცა გათავდა, ჯარის კაცებს ეჯავრობოდათ შრომის-მოყვარე ხელოსნები და ეჯავრობოდათ სწორეთ იმ მიზეზით, რომ საქმეში და მუშაობაში არიანო. . . . თითონ ჯარის კაცები (მხედრები) არა ფერ ხელობაზე არ იყვნენ, მარტო სამხედრო ვარჯიშობაში ატარებდნენ დროებასა. . . . აღრინდელ სახელის გათქმით კი თავი მოჰქონდათ; სახელოვ-

ნობისა და სიმდიდრის ამბავი შვილის შვილობამდინ არ ავიწყდებოდათ. ამასთან კანონიც უშლიდა, რომ ხელოსანს ჯარის კაცობა დაეწყო.

ინდოეთის ძველი მცხოვრებლები სულობით დაიმორჩილეს. ომიანობა აღარ იყო და არც იქნებოდა: ჩრდილოეთის მხრით ინდოეთს ერტყა გაუვლელი თოვლიანი მთები; მეორეს სამი მხრით—ზღვა—ოკეანე. არა მტერი არა საით არ დაეცემოდა. მაშ ჯარი საჭირო არ იყო. თუმცა მხედრები სახელოვანნი და მდიდარნი იყვნენ, მაინც საჭირონი აღარ იყვნენ და პირველი ადგილი მღვდლებისთვის (ქურუმებისთვის) უნდა დაეთმოთ. ინდოელებსა სწამდათ, რომ ლოცვისა და შელოცვის მცოდნე რასაც კი სთხოვს ღმერთებს, ყველას აქმნევენსო. ლოცვები მარტო ქურუმებმა (მღვდლებმა) იცოდნენ; ღმერთების სასმელ სომის უაკეთება, საღმთო ადათები სულ მარტო იმათ იცოდნენ,— და ამისა გამო ამაოთ მოაწმუნე ხალხმა ყველა კასტებზე უმეტესი იმათი პატივის ცემად დაიწყო და თითქმის ღმერთებს ადარებდა კიდევცა.

ქურუმებს (მღვდლებს) ინდოეთში ბრამანებს ეძახდნენ. ბრამანების კასტა მეტათ გაცალკავდა ჯარის კაცებისაგან და ხელოსნებისაგან; თავი ყველას ღიდათ მოჰქონდა და ამპარტავნულათ ექცეოდა იმათა. მარტო ამ კასტამ იცოდა საღმთო—წიგნები და სწავლა—მეცნიერება და მარტო

თავის შვილებს ასწავლიდა; სხვა კასტის კაცის შვილებს არ ასწავლიდა. ბრამანებს ზედ-მოქმედება ჰქონდათ მეფეებზე; მეფეებს ისინი მფარველობას ქვეშე ჰყვანდათ. სხვებს თუ გაჭირებული ცხოვრება ჰქონდათ, ბრამანები კეთილ ცხოვრებაში იყვნენ. ძიდეც ამის გამოთ ბრამანები ამბობდნენ, რომ თითონ ღმერთმა ბრამამ ესე ბძანაო: ერთი სუდრა იყოს, მეორე—ჯარის კაცი, მესამე—ხელოსანიო. . . ამბობდნენ, რომ ამისი გამოცვლა არა თუ კაცს, ღმერთსაც არ შეუძლიანო, ამიტომ რომ რაც ერთხელ დაწესებულა იმისი გამოცვლა აღარ შეიძლებაო. ბრამანები ამბობდნენ: ღმერთმა თავის პირისაგან ქურუმები (ბ რ ა მ ა ნ ე ბ ი) გააჩინაო; ხელებისაგან—ჯარის კაცები, ბარძაყებისაგან—ხელოსნები, ფეხებისაგან—სუდრებიო; ამისა გამოთ ბრამანები „წმინდანი და ბრძნები“ არიანო; ჯარის კაცები—„ლონიერები“, ხელოსნები—„მდიდრებიო“ და სუდრები „მსახურნი და მოჩილნი“ უნდა იყვნენო.

ჭუჩაში და ბაზარში ერთის შეხედვით შეიძლებაო და აღამიანს გაერჩია ყველა კასტის კაცი: ყველა კასტის კაცი სხვა ტანისამოსს იცვამდა, სხვა სიგძისა და სხვა ნაირი ჯოხი ეჭირა. ბრამანი ყოველთვის ბამბუკის(ერთგვარი ხე)ჯოხით დადიოდა, წყალი და ჭურჭელი დასაბანათ თან დაჰქონდა, მხარზე აკრული ჰქონდა საღმთო ზონარი. ბამბეულის ტანისამოსი ეცვა, ოქროს საყურეებს და ბეჭდებსა ხმარობდა;

ბევრი ცოლი ჰყვანდა. შველა კასტებისათვის საღმთო ვალათ იყო დადებული, რომ ბრამანებისთვის პატივი ეცათ. ბრამანი რომ ვისთანმე მივიდეს—მასპინძელმა უნდა სკამი მიართვასო, მორჩილებით უაღერსოს, ახლოს მოუჯდეს გულხელ დაკრეფილი; როცა გადიოდეს უნდა გააცილოსო. პრავის არ შეუძლია ბრამანს უთხრას: შენ. . .

ბრამანს სუდრის შეხვედრა, გააუწმინდურებსო. ამისთვის სუდრა რომ ქუჩაში ყოფილიყო, ჯოხი თავის თავზე უნდა ერტყა და თავისი იქ ყოფნა ისე უნდა შეეტყობინებინა, რომ ბრამანი იმასთან შეხვედრას ასცილებოდა. სუდრას თუ ბრამანს შეეგინებინა, პირში გახურებულ რკინას ჩაუდებდნენ; ბრამანისთვის იმისი ვალდებულება რომ მოეგონებინა, პირში აღუდებულ ერბოს ჩაუსხამდნენ; ბრამანისთვის რომ ხელი დაერტყა, ორსაე ხელს მოსჭრიდნენ; თუ შეეფურთხებინა, ტუჩებს მოსჭრიდნენ; თუ ბრამანი არ მოასვენა, სიკვდილით დასჯიდნენ; თუ სუდრამ ყური დაუგდო სამღთო წიგნის კითხვასა—თუნდა მარტო შესატყობლათ, ყურებში გამდნარ ერბოს ჩაასხამდნენ; და თუ ზეპირათ დაესწავლა რამ საღმთო წიგნებიდამ მოჰკლამდნენ.

სუდრები ყველაზე მეტათ დაჩაგრულები იყვნენ; ცხოვრებითაცკი ქალაქებსა და სოფლებს გარეთ უნდა ეცხოვრათ. სასტიკმა დაჩაგვრამ მოუკლა ყველა სიხარული, არც ხასიათი შერჩათ, არც

თავის თავის ცნობა, რომ ისინიც აღამიანები არიან და კაცური ღირსება აქვთ. ამ მიზეზისა გამოთინდოელი კაცი ნაღვლიანი იყო და გულდახურული, და მეტის მეტათ ძალიან ელოდა საიქიო ცხოვრებასა.

3.

**ინდოელების სარწმუნოება.**

რამდენიც კაცმა ცოტა იცის, იმდენათ გონების გამოხატულობა ძალიანი აქვს. პი ვთქვათ კაცი ხედავს, რომ წყალი ხანა დიდდება, ხან ისევ საწყლევში ჩაფარდება და ხან სულ პატარდება; თუ კაცი ამასა ხედავს და არ იცის კი, რომ წყალი ან წვიმებისაგანა დიდდება, ან იმისაგან, რომ თოვლი დნება; თუ არ იცის, რომ მზისაგანა შრება—მაშინვე გონებაში გამოიხატებს—რომ წყალს ასე ნება-მსო: თუ უნდა აღიდდება, ნაპირებს დაიჭერს, სოფელსა და კაცს დააზიანებს; თუ უნდა—გაპატარდება და კაცს ფონს მისცემს გასაველელათაო და სხვა ამისთანაები. ძველ დროებში ასე ეგონათ.

ინდოეთის ხალხს სწავლას უშლიდნენ. ინდოელმა რამდენიც ნაკლებ იცოდა, იმდენათ უფრო ამაოთ მორწმუნე იყო. ამასთანვე თითონ ინდოეთის მიწაწყალი ამ ამაოთ მორწმუნებას აძრელებდა. სხელი ჰაერი გონებას, ჰაზრს უსუსტებდა.

რასაცკი ხედამდა ინდოელი, ყველა გამოხატულობას უძრიელებდა: რამდენიმე ვერსის სიმაღლე ვეება მთები, მომცემი მინდვრები და ამასთან ახლოსვე გაუვლელი მაღალი—მაღალი ტყე, ისეთი ტყე, რომ თითო ხეს ხუთი კაცი ხელს ძლივს მოახვევდა, — იქვე ამასთან თვალ გაუწვდენელი უდაბური მინდორი, მომარხრებელი ურაგანი (ძრიელი ქარი), თვალგაუწვდენელი ზღვა საშინელის ქართა, დიდრონი მდინარე წყლები, ვეება მხეცები, ვეფხვი სპილო, ეს ყველა უძრიელებდა იქაურ კაცის გონების გამოხატულობას და ბუნებისაგან გაცეებას და გაკვირვებას უმატებდა, საშიშო ავითყოფობა, ჭირიანობა, ხოლერა, (1)— ინდოელებს აშინებდა. ეს შიში და საზარელობა კაცს შეუძლიან დაატყოს იმათ სარწმუნოებასა, როგორი რწმუნებაცა ჰქონდათ ჯოჯოხეთისა და რა სახითა ხატამდნენ ღმერთების სახესა. იმათ ღმერთებს საზარელი შეხედულება ჰქონდათ. სივა-ღმერთსა ხატამდნენ დიდრონ კბილებიანსა, სამ თვალიანს და კაცის თავის ჩანჩხურა ყელზე ჩამოკიდებულსა. კაცის სისხლის სმა უყვარსო. ამის ცოლს ლურჯი ფერი ტანი ჰქონდა, ხელის გული წითელი იმის ნიშნათ რომ სისხლის მსმელი იყო. მრთ ხელში ბუმბერაზის დავი ეჭირა; სულ ოთხი ხელი ჰქონდა. მნა გამოყოფილი ეკიდა; ყელზე კაცის თავების

(1) ხოლერა იქილამ მოვიდა ჩვენში,



ყელსაბამი ერთყა. მიზნა ღმერთს. ოთხი ხელი ჰქონდა; ბრამას — ხუთი თავი...

ინდოელების სამლო წიგნებს ვეღებს ეძახდნენ. ამ ვედებში ბევრი სხვა და სხვა ზღაპარი იყო. ქვეყნის გაჩენაზე აი როგორი მოთხრობა ეწერა. „ღმერთმა სხვა და სხვა რისამე გაჩენა რომ მოინდომა, მარტო იმის ჰაზრისაგან გაჩნდა წყალი. ამ წყალში ჩააგდო ნივთიერება. ამ ნივთიერებისაგან ცისა და ქვეყნის კვერცხი გახდა და ეს კვერცხი მზესავითა ბრწყინავდა; კვერცხში ბრამა გაჩნდა. მის წელიწადს შემდეგ ბრამამ კვერცხი ორად გაჰყო: ნახევრიდამ ცა გააკეთა, ნახევრიდამ ქვეყანა, დედა-მიწა, შუაში ჰაერი... ღმერთმა ყველა კარგათ გააჩინა. ჭველა, რამ, ყოველი ადამიანი კეთილი, უმანკო, უკვდავი იყო. თავისუფალნი იყვნენ და ნეტარი ცხოვრება ჰქონდათ. მარტო ერთ იმათგანს მახისხასულრას გულში ღვთის შური ჩაუარდა. ღმერთმა მაშინ სხვა მამაკვდინებელი ქვეყანა გააჩინა და 432,000 (2) წლის შემდეგ ყველა ბოროტება ქვეყანიდგან აღგება, ღმერთი მამაკვდინებელ ქვეყანას დაქცევს და სულების სამეფოს გააჩენსო.

ბრამანები ხალხს კიდევ სხვა ამართ მორწმუნ-

---

(2) ინდოეთის სხვა გვარ პირათ მოთხრობანი ამბობენ, წლის თითო დღეს რომ 4,320,000,000 წელიწადი ჰქონდეს ასი ამისთანა დღიანი წლის შემდეგ ქვეყნის დაქცევა იქნებაო.

ნებას ასწავლიდნენ. უცოდველი ჯარის კაცი (კეთილშობილი) სიკვდილის შემდეგ ისევ გაცოცხლდება, და ბრამანი იქნებაო. მუ კიდევ უცოდველათ იცხოვრებს, სიკვდილს უკან ღმერთს შეუერთდებაო. ხელოვანი სიკვდილ შემდეგ ჯარის კაცათ, კეთილშობილად დაიბადება; მერე კიდევ ბრამანათაო და სხვა. მუ ცოდვილი მოკვდა, ან სუდრათ დაიბადება, ან სპილოთ, ან ვეფხვათ და ან სხვა პირუტყვათაო.

ბრამანები ამბობდნენ, რომ ცოდვილებისთვის ამას გარდა კიდევ სხვა სასჯელი არისო—ჯოჯოხეთიო. იქ ცეცხლში დაიტანჯებიანო. სიბნელისა და ტირილის ადგილიაო იქ. შვავები და ბაიყუშები ცოდვილთ სულებსა სძიძენიან. ჯოჯოხეთის ქალები ყოველ დღე ცოდვილებს თავში კვერსა სცემენ. ჯოჯოხეთის სხვა ადგილას ცოდვილებს ქვაბში მოხარშვენო; მდულარე საჭმელს აყლაპებენ; ცხელ-ცხელ ქვიშაზე და გახურებულ რკინაზე ატარებენო.

ცოდვილათ ის მიაჩნდათ ვინც „ღვთის“ მცნებას, არ ასრულებდა. ეს მცნებები და კანონები ამბობდნენ, კაცმა რა უნდა სჭამოს, რა უნდა სვას, რა დროს განიწმინდოს, როგორი ტანისამოსი ჩაიცვას, თმა როგორ გაიკრიჭოს; და ყველა ამისთანა წერილმანები მცნებებში ეწერა. შოველ კაცს ესენი სწორეთ უნდა აესრულებინა, გონების დაუკითხავათ, კარგი იყო, თუ არა იმის ასრულება,

განუსჯელათ უნდა ასრულებინა; თითონ ბრამანები ამის მაგალითს უჩვენებდნენ. იმათი სიცოცხლის კანონები უფრო სასტიკი იყო. შველა ბრამანს დიდი ოქროს საყურეები გაყრილი უნდა ჰქონოდა ყურებში; წვერი, თმა, უნდა შეეკრიჭა და ფრჩხილები შეეჭრა; მაგრამ ამაების გაკრეჭა და შეჭრა თითონ არ შეეძლო. ნაცარზე, თმაზე ძვალზე და ბამბის ხეზე ფეხის დადგმა არ შეეძლო. გზაზე რომ ძროხა მდგარიყო, იმ გზაზე გადასვლა არ შეეძლო. პირდაპირ მუჭით წყალი არასდროს არ უნდა ამოეღო. წვიმაში არ უნდა გაქცეულიყო.

შინც ამ კანონებს სწორეთ ასრულებდა, სიკვდილს შემდეგ ნეტარებას მოეწევაო. ამისი სწორეთ ასრულება ადამიანს ჰაზრს, გონებას სრულებით უკლამდა... ამასთანვე ბრამანები ასწავლიდნენ, რომ გვამი ადამიანის სულის „ს ა ტ უ ს ა ლ ო ა ო“ (!); რომელი კაციც არც მწუხარებას, არც ნაღველს და არც სიხარულს არ შეუშვებს გულში, ღმერთს. მარტო ის შეუერთდებაო — (ეს იმასა ჰგავს, ვითომც ადამიანობა და სიცოცხლე აღარ ეტყობოდესო). ამისთანა რჯულის სწავლის ასასრულებლათ ბევრ ინდოელებს თავისი გვამის მოკვდინება უნდოდა; მიდიოდნენ უდაბნოში, იცვამდნენ ხის ქერქის ტანისამოსსა ან ნადირის ტყავსა, სჭამდნენ მწვანილეულს და მწვანილის ძირსა, ხისა და დედა-მიწის მოსაეაღსა; მარტო

წყაროს წყალსა სვამდნენ, ადგილზე იძინებდნენ და ყოველ კაცურ საქმეს ივიწყებდნენ. . . და ამისთანაებისთვის კი პატივსა სცემდნენ.

ამ მეუღაბნოელებს თავი ბრამისათვის ჰქონდათ შეწირული, გვაძსა და გონებას იკლამდნენ; იმიტომ ჩუმობა და ხმის ამოუღებლობა დიდი კეთილი საქმე ეგონათ. მისას არას დროს არ იკრეჭდნენ, მუდამ მარხვას ინახამდნენ და ტანს იცემდნენ. ზოგი ხოლმე ფეხის თითებზე დადგებოდა მთელი დღე, ზოგი ცალ ფეხზე ერთ საჟენიანი ჯოხით ხელში იდგა. ზოგნი სიცხეში ოთხ ადგილს ცეცხლს დაანთებდნენ, შუაში ჩაჯდებოდნენ, ხელები მალლა ეჭირათ; ზემოდამაც ცხარე მზე ადგა; სხვანი წვიმაში ტანთ იხდიდნენ; სიცივეში სველ-სველ ტანისამოსს იცვამდნენ. ზოგნი კიდევ ტანზე მუჭებით ჯინჭველას იყრიდნენ. მართის სიტყვით როგორც ისინი ამბობდნენ, როცა „ღმერთში ჩაინთქებოდნენ,“ კისერი გაშემებულსავით ეჭირათ, ჰაერს თანასწორეთ ისუნთქავდნენ და ამოისუნთქავდნენ ხოლმე, არ საითკენ არ იხედებოდნენ, თვალებს ცხვირის წვერს დააჩეჩებდნენ და ღვთის სახელს იძახდნენ: „ომ!“

მეუღაბნოეთ მიდიოდნენ 40--50 წლის ბრამანები, ვისაც შვილები ჰყვანდა. იმათა სჯეროდათ, რომ სიკვდილს შემდეგ სხვა კასტის კაცათ, ან პირუტყვათ არ გადავიქცევიან როგორც სხვებიო და პირდაპირ სამოთხეში შევა ჩვენი სულიო.

რადგანაც ეს მეუღლანობები ნაბრამანლები იყვნენ, ბრამანები ყოვლის ღონის ძიებითა ცდილობდნენ, რომ იმათი მოღვაწეობა გადამეტებით ექოთ, წმინდანებათა ხდიდნენ და ხალხს ეუბნებოდნენ იმათს სასწაულებსა და საკვირველ მოქმედებასა. ამასთანვე ყოველის ფრით ძველ ღროებას აქებდნენ. ამბობდნენ რომ წმინდა მეუღლანობელები 100,000 წლობითა სცხოვრებდნენო. მართმა წმინდანმა 2,000,000 წელიწადი იცხოვრაო, მერე მეფე გახდა 6,300,000 წელიწადი მეფობდაო, მასუკან ხელმწიფობისაგან ხელი აიღო და 100,000 წელიწადი კიდევ იცოცხლაო.

ბრამანები მარტო საიქიო სიცოცხლეს აქებდნენ, სააქაო სიცოცხლე ეჯავრებოდათ და ადამიანის ტანჯვას და მწუხარებას გულგრილათ უყურებდნენ... ამას კი არა ჰფიქრობდნენ, ისინი რომ მდიდრათა ცხოვრობდნენ, მილლიონი მდაბალი ხალხი შევიწროებული და დაჩაგრული იყო.

#### 4.

### ბუღდა და იმისი მოწაფეები.

ძრისტეს დაბადების 600 წლის წინათ ინდოეთის ჩრდილოეთის მხარეში დაიბადა ბუღდა. ზამოჩენილი გვარის-შვილი იყო, ჰასაკში რომ შევიდა სახით მშვენიერი. მეთექვსმეტე წელიწადში რომ გადად-

გა, სამი ცოლი შეერთო, მხიარული და მდიდარი ცხოვრება ჰქონდა. მალე იმის ნათესავეებს ზოგი მეფეები გადაემტერდნენ; ბუღდას ქონება ხელიდამ წაუვიდა, გაღარიბდა. . . ღარიბ კაცს ბევრი ნაღველი აქვს, ბევრ რაზედმე ფიქრობს, ეს როგორ არისო, ის რის მიზეზით არისო. ხედამს თავის თავის უბედურებას, ხედამს, რომ სხვანიც არიან უბედურებაში. ამიტომ კიდევ თავის თავის ფიქრს სხვის ფიქრიც დაერთობა ხოლმე და როგორც თავის თავის სიკეთე ჰსურს, ისეც სხვისთვის სიკეთე და შემწეობა უნდა. — ბუღდამაც ამის გამოთ დაიწყო ფიქრი ხალხის სიღარიბეზე, იმის ტანჯვაზე და უბედურ მდგომარეობაზე და მეუღაბნოელებთან სწავლას მოჰყვა. იმათ სიბრძნესა სწავლობდა, მაგრამ იმ სწავლაზე უკმაყოფილოთ დარჩა. ადგა და წავიდა უდაბურ ტყეში, ექვსი წელიწადი იქა ცხოვრობდა და იმისი საფიქრებელი სულ ხალხი იყო.

ექვს წელიწადს შემდეგ ბუღდა დაბრუნდა თავისის მოწაფეებით (მოციქულებით), განგეს ის მდინარის ადგილებში სიარული დაიწყო და უქადაგებდა ხალხსა. მთხოვარა გლახასავით ქილა ხელში დადიოდა, მოწყალებას აგროვებდა; ერთი ქვეყნიდგან მეორეში მიდიოდა, ერთი ქალაქიდგან მეორე ქალაქში და ვინცკი გზაზე შეხვდებოდა, ყველას ასწავლიდა. ბრამანები კი მარტო უკოლებში ასწვლიდნენ. ბუღდა ამბობდა, რომ თვალათ საჩვენებელი სიწმინდე კაცს ტანჯვისაგან არ დაიბ-

სნისო; დაიხსნის მარტო ერთი „ჭეშმარიტების, სიმართლის ცოდნაო.“ ბუდდა ყველას ელაპარაკებოდა: დედაკაცებსაც და სუდრებსაცა. ბრამანები კი სუდრებს თან ახლოთაც არ მიუშვებდნენ. ბუდდა ხალხს ერთმანერთის სიყვარულს ასწავლიდა, ეუბნებოდა: „კაცს შემწეობა მიეცი, გულ შემატკივარი იყავი და კაცთან ძმასავით მოიქეცი.“ ბუდდა ამბობდა: „ადამიანებმა ჩემსავით რომ იცოდნენ კეთილი საქმის სარგებლობა—ერთი ბეწო ლუკმასაც კი ისე არ შესჭამენ, რომ სხვასაც არ გაუყონო; თავის თავის ანგაარი მოყვარება სრულებით არ ეცოდინებათო. „ამბობდა, რომ ყოველი კეთილიცა და ავი საქმეც თავის უნაყოფოთ არ დარჩებაო. ხალხს ასწავლიდა, რომ უქონელსა და ავთმყოფს შესწევნოდნენ, მგზავრისთვის ემასპინძლათ, გზებზე მგზავრისთვის წყლის სასმელათ ჭები ამოეთხარათ და ხეები დაერგათ ჩრდილოში დასასვენებლათ. ბუდდა ხალხს სახალხოთ გასაგონი ენით ელაპარაკებოდა; ბრამანები მარტო სამღთო, გაუგებარ ენით ასწავლიდნენ. მოწაფეთ ყველა კასტის კაცს იყვანდა, ამბობდა, რომ ყველა კაცები სულ ერთნი არიანო, თანასწორენი არიანო და ქონება ყველამ თანასწორეთ უნდა გაიყონო. ბრამანები იკვებდნენ და წმინდანობით თავი მოჰქონდათ; ბუდდა ამბობდა: „კეთილის საქმით და წმინდანობის შეხედულობით თავი არ უნდა გამოიღოს კაცმაო.“ ასწავლიდა, რომ „ვინც ცოდვი-

ლია, თავის ცოდვებს თვალათ საჩვენებელ შესაწირავით კი ნუ ახოცამსო, მოინანოს ცოდვებო, ხასიათი გაისწოროსო, კაი ყოფა-ქცევა დაიწყოსო და თავისი ბრალეულობა და ცოდვები მცნობებთან აღვიაროსო.“

მაგრამ ბუდდა რომ ასწავლიდა, ის ხალხი ღონე წართმეული იყო; ხალხი დაჩაგრული და შეწუხებული იყო და დიდხანი ამას გულგრილათ უყურებდა, ამის გამოთ ბუდდა უქადაგებდა: „შეუძლებლათ და ჯავრის ამოუყრელათ, მშვიდათ მოითმინე უსამართლოება და შენი გაუპატიურებაო.“ მაგრამ ბუდდას მაინც უნდოდა მთელი ხალხისთვის ბედნიერება მოეპოვებინა. ბრამანები კი ამბობდნენ, რომ ქვეყანაზე ბედნიერი ცხოვრების მოპოება ტყუილიაო, ბედნიერება მარტო საიქიოს სამოთხეში იქნებაო. ხალხი მრავალი დასდევდა ბუდდასა. ბრამანებს ეს არ მოსწონდათ; ვინც ბუდდას ყურს უგდებდა, ხარჯი დაადეს და ცდილობდნენ, რომ მეფეები ბუდდას გადაუმტერონ. მაგრამ ბუდდა ერთი ადგილიდამ მეორეში გადადიოდა და ვერა უყვეს რა. მკვიწვლიწადი ასე დაიარებოდა. 543 წელს ქრისტეს დაბადების წინათ, ოთხმოცი წლის მოხუცებული ლედვ-ქვეშ მწოლარე მოკვდა. იმისი გვამი დიდკაცურათ დასწვეს და იმისი ნაცარი ოქროს ჭურჭლითა ჰქონდათ შენახული. —

მანამ ბუდდა ცოცხალი იყო, ყველას კეთილ



მამქმედ და ბრძენ კაცთ მიაჩნდა; როცა მოკვდა, დაიწყეს იმაზედ ამბების ლაპარაკი, რომ საკვირველ; სასწაულ-მამქმედი იყოვო, და ვითამ „ბრამანების“ ღმერთებს მოერია და დაიმორჩილაო. ბუდდაზე ბევრი ზღაპრებიც კი მოიგონეს. ესე ერთი ზღაპარი იყო: ერთხელ ერთი მებაღე ბუდდასთან სახლში მივიდა და ბუდდა ნათელში ნახაო და ეს ნათელი 1,000 მზის სინათლეზე ბრწყინვალე იყოვო, მოძრავ მთასა ჰგავდა და ბუდდას გარს ერტყაო. მებაღემ წინ ყვავილი დაუგდო და მაშინვე ურმის თვალათ გადიქცაო. ამ სასწაულზე მებაღე ბუდდას ფეხებში ჩაუვარდაო. ძიდევ სხვა მოთხრობას ამბობდნენ, ბუდდა რომ მოკვდა დიდი მიწის ძვრა იყო, ციღამ ვარსკვლავები ჩამოცვივდა; ცას გარშემო თითქო ცეცხლი ეკიდებოდაო.

მალე სხვა და სხვა ადგილებში მითამ ბუდდას ნაწილები გამოჩნდა: კბილები, თმა, ძვალი. . . ათას ნაწილათა ჰყოფდნენ ამაებსა და ოქროსა და ვერცხლის ბუდეში ინახამდნენ. ამ ნაწილების შესანახავათ სალოცავებს (ტაძრებს) აშენებდნენ და ზედ ლოცულობდნენ. ამბობდნენ, **ასოკა** მეფემ ბუდდას გვამი 84,000 ნაწილათ გაჰყო, თავის სამეფოს ქალაქებში გაგზავნა და ყველგან ტაძრები (სალოცავები) ააშენებინაო. მაგრამ თუმცა ეს ასე იყო; მაინც და მაინც უწინდელსა სჯობდა: უწინ ღმერთებს სისხლის შესაწირავსა სწირავდნენ, ბუდდასკი არა. ამის მაგიერათ ტაძრებში ბუდდას სიცო-

ცხლის სასწაულებს მოთხრობაებსა კითხულობდნენ, ყვავილები და კაი სასუნებლები მოჰქონდათ, ყველას წინ თავის ცოდვებს აღვიარებდნენ. . . მაგრამ ეს ნელნელა მარტო ცარიელ თვალის საჩვენებელი (სიცრუე) გახდა.

წვიმაში ბრამანის მეუღაბნოელები განგებ გართა რჩებოდნენ. . . ბუღდა თავის სიცოცხლის დროს ამბობდა, რომ მეუღაბნოელებმაც კი წვიმის დროს მკვიდრ შენობაში თავი უნდა შეაფარონო. ინდოეთში ზამთრის მაგიერათ ყოველ წელს რამდენიმე თვე ერთმანერთზე წვიმებია. ამის გამო შენობაები ააშენეს, რომ მეუღაბნოელები წვიმაში იქ შეყრილიყვნენ. მანამ მეუღაბნოელები ამ შენობაებში იდგნენ ყველა ფერი საერთო, საზოგადო ჰქონდათ. ამ გვართ ერთობა (საზოგადოება) შეადგინეს და ერთი წესით ცხოვრება დაიწყეს. რაკი ბრტყელ რკინას, ან სპილენძს, ან ზარებს დარეკდნენ, ყველანი ერთათ ლოცვისთვის შეიკრიფებოდნენ. ეს ერთობა ყველას სიკეთეს უშვრებოდა და შემწეობას აძლევდა, რა სარწმუნოების კაციც უნდა ყოფილიყო. მისაც უნდოდა, ყველას შეეძლო ამ ერთობაში შესვლა, თუნდ უცხო ქვეყნელი ყოფილიყო. ამათ ჯერ საღმთო საიდუმლოები და წმინდანობის ხარისხები არ იცოდნენ ბრამანებსავითა; ყველა იმდენსა სწავლობდა, რამდენიც უნდოდა და ყველა ერთობას (საზოგადოებას) ბევრი წიგნები ჰქონდა.

თან და პირველათ ერთობაში ყველა შეჰყავდათ, ვინც კი ახალ სწავლას იწამებდა; შემდეგ კი დამნაშავე, ავთომყოფი და დაშავებული კაცი აღარ შეჰყავდათ. მასუკან რამდენათაც წმინდა იყო კაცი იმათის ფიქრით, ისე იმის ნიშნათ ხარისხები დააწესეს. სარწმუნოების კარგათ გასარკვევათ მეუღაბნოელებმა დაიწყეს კრებების მოხდენა და სხვა და სხვა ადგილებიდგან იყრებოდნენ რჩევისათვის. ასე პირველ კრების შეყრილობაში და რჩევაში მოხუცებულების ნახსომი ბუდდას ქადაგებაები და წესები დასწერეს. ბუდდას არა დუწერიარა, მარტო დადიოდა და ხალხს პირათ ელაპარაკებოდა.

ბუდდას სწავლა ძალიან მალე იფინებოდა. მს სწავლა მიიღო **ას ოქა** მეფემ და გულშემტკივრობის, მოწყალების წესით დაიწყო ცხოვრება: დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯა მოშალა, უცხო ქვეყნელებთან მშვიდობიანი და უწყინარი იყო, გლახას სასმელ საჭმელს აძლევდა, სნეულებისა და მოხუცებულებისთვის სადგომ სახლებს აშენებდა, გზებს აკეთებდა. . . 246 წელს ქრისტეს დაბადების წინათ მოახდინა ბუდდას მოწაფეების მესამე კრება, რჩევა. ამ კრების რჩევაში გადასწყვიტეს: ქვეყნის ოთხსავე მხარეს მოქადაგეები გაგზავნონ, რომ ყველა ენის ხალხმა შეიტყოს ნეტარების ახალი სწავლა. მოქადაგეები დაულალავათა ჰქადაგებდნენ, (\*) და ბუდდას სწავლა ახლოს

(\*) ერთხელ ჩინეთში ერთ მოქადაგეს რომ ძილი უშლიდა ღვთისნიერ გუნებაზე ყოფნასა წამწამები ამოიჭრა.

ხალხებში მალე მოიფინა. მაგრამ ეს სწავლა იქაურ სარწმუნოებას არ ებრძოდა; ყველა ხალხის ჰაზრის დაგვართ იცვლებოდა.

ბრამანებს ბუდდა და იმისი მოწაფეები ეჯავრებოდათ, რადგანაც ძველ სარწმუნოებასა შლიდნენ, არღვევდნენ, შესაწირავი აღარ მოჰქონდათ და შემოსავალი ხელიდამ ჩამოეცალათ. ბრამანებმა იმათ უღმერთოები (ათეისტები) დაარქვეს. ინდოეთის მეფეები თავდაპირველათ ახალი სწავლისაკენ იყვნენ და ბრამანებს ვერა შეეძლოთ რა. მაგრამ მერე რაკი დრო დაიხლეს მეფეები გადუმტერეს ახალ სწავლასა. ძველის ძველათგანვე ინდოელებს ყველა ხალხებზე თავისი თავი დიდათ მიაჩნდათ და უცხო ქვეყნელები სძულდათ; ბუდდას მოწაფეები კი აღერსით ეპყრობოდნენ. ეს მოიმიზნეს ბრამანებმა და მეფეებს ატყობინებდნენ, რომ ბუდდას მოწაფეები უცხო ქვეყნის კაცსაც ისე კარგათ ეპყრობიან როგორც თავისსადა... და აი აქედამ ახალი სწავლის დევნულობის დრო მოვიდა... ბძანება იყო, რომ ვისაც ბუდდა სწამს, ყმაწვილია, თუ მოხუცებული ყველანი დახოცონ. „ვინც იმათ არ მოჰკლამს, თითონ იმას მოჰკლამენო.“ დევნულები დახოცეს, იმათი ერთობაები (საზოგადობაები) აიკლეს; მაინც კი ბევრი სხვა ადგილებში გაიქცნენ და იქ ახალი სწავლა მოჰფინეს.

ამ გვართ ჩინეთში, ტიბეტში, ცეილონის კუნძულზე წავიდნენ. მხლა ბუდდას მრწმუნებელი

300,000,000 კაცია; ინდოეთის ძველი სარწმუნოებისა 80,000,000 კაცია. არც ერთმა ხალხმა, ვისაც ბუდდა სწამს, კასტები არ იცის... მაგრამ მაინცკი ბუდდას სწავლა, რადგანაც ერთი ადგილიდამ მეორეში გადადიოდა გამოიცივალა და წახდა, ზნეობითი წესი ცარიელი ცრუ ცერემონიები გახადეს, ჰაზრი კარგათ არ შეიტყვეს, რასაც ასწავლიდა, მარტო სხვებისთვის თვალათ საჩვენებელი წესები შემოიღეს. ადამიანობის თანასწორობაზე ბუდდას სწავლა სრულებით შეიცვალა.

5.

**ინდოელეზის კანონები და უოფა-ცხოვრება.**

ინდოელები ამაოთ მორწმუნენი იყვნენ, ამიტომ კიდევ ბრამანების კასტა პირველი თავი კასტა გახდა. ბრამანებმა კანონები დასწერეს. ამ კანონებში ზოგი ძველი ადათები ჩასწერეს, უფრო მეტიკი ახალი კანონები მოიგონეს თითონა და თქვეს, რომ ეს პირველი კაცის მანუს კანონებიაო, მანუს ეს თითონ ღმერთმა მისცა; და მანუმ პირველ დიდ ბრამანებსაო.

ამ კანონების ძალით ბრამანების კასტა ყველა კასტებზე უფროსი იყო, ჯარისკაცების (კეთილშობილების) კასტაზედაც უფროსი; ინდოეთის მეფეები კეთილშობილი კასტის კაცები იყვნენ. მე-

ფეებს ბრამანებისთვის ყოველ გვარი პატივი უნდა მიეცათ და გულმოკრეფით უნდა მოჰპყრობოდნენ. რჩევისათვის კაცები უფრო ბრამანებისაგან უნდა ამოერჩიათ და სამადლობელი ძროხით დასაჩუქრებით უნდა გადაეხადნათ. ბრამანისთვის შეწირული, ღვთისთვის შესაწირავზე უფრო მეტიაო. ბრამანების ქონება წმინდააო. ინდოეთის მეფეს ყოველ დღე დილაობით ბრამანის დარიგება უნდა მოესმინა, და თავდაბლათ ყური ეგდო, რადგანაც „უმართებულობისათვის ბევრი მეფე გაფუჭებულაო.“

ინდოეთის მეფეები თავდაბლათ ყურს უგდებდნენ და უთმობდნენ ბრამანებს, რადგან იმათის სწავლისაგან იყო, რომ განუსაზღვრელი უფლობა ჰქონდათ, იმ გვარი უფლობა, რომ რაც უნდოდათ იმას ჩადიოდნენ. ბრამანები ხალხს ასწავლიდნენ, რომ ხელმწიფობა თითონ ღვთისაგან არის ასე განწესებულიო: ხალხს უბძანებდნენ, რომ ბრმათ მორჩილნი და გამგონე იყვნენ. ბრამანები ამბობდნენ, რომ „მეფე ღვთისაგან არის გამოსულიო, ღმერთი იმას ცის რვა მთარველებისაგან (აგრეთვე ღმერთებისაგან) აჩენსო“; რომ „მეფე კაცს მზესავით თვალსა და გულს უბნელებს; არა კაცს არ შეუძია იმისი ყურება აიტანოსო, საცა მეფე არ არის, წვიმა არ იცის იმ ადგილმაო, ის ხალხი და ის ქვეყანა ხდებაო“. ამის გამოთ ინდოეთის მეფე ქვეყანაზე ღმერთათა სწამდათ და იმის სახელმწიფოს მომართულობა, ღვთიური მომართულობააო.

მეფეს ყველა დიდი ღმერთების ხმა ჰქონდა; ყველა დაბალი კასტები იმის მოწიხები, ყმები იყვნენ და ყველასფერში სრულებით უნდა დამორჩილებოდნენ.

ერთი ანდაზაა: რამდენიც მონა გყავს, იმდენი მტერიო. ამის გამოთ მეფეები თავიანთ სიცოცხლისათვის ძალიანა ზრუნავდნენ და ფრთხილობდნენ. ბრამანები ყოვლის ღონის ძიებითა ცდილობდნენ, რომ მეფეს არა დაშავებოდა; სხვა და სხვა ცერემონიებს უხდიდნენ, ჰბანდნენ, თავს ევლებოდნენ და სულ დასტრიალებდნენ. რაკი გათენებას დაიწყობდა, მეფეს იმისი მომღერლები გააღვიძებდნენ; მერე საბანათ ოქროს ჭურჭლით წყალს მიაართმევდნენ ხოლმე. მასუკან შესაწირავს შესწირამდა ღმერთებსა და სრულის ხელმწიფურის სამოსით ჩაცმული ხალხს ეჩვენებოდა, მომღერლები ამ დროს იმის დიდებასა მღეროდნენ. როცა ჰურის საჭმელათ დაჯდებოდა, კანონების ბძანებით დიდი სიფრთხილედ ჰმართებდა, რომ „საწამლავს არ მოეწამლა.“ შეჭამადის მიღების უწინ შელოცვა უნდა ეთქვა საწამლავებისა და საჭმელში საწამლავის წამალი უნდა გაერია. სოლებთან ღმერთის დროს ფრთხილათ უნდა ყოფილიყო, რომ „ხანჯალს ის არ მოეწყლა და მიწა არ მორეოდა“. მცველები და ჯარის კაცები კარებს უკან იდგნენ. ინდოეთის მეფეს დღე არ ეძინა. ღამე საწოლი ოთახები მალმალ უნდა ეცვალა. თავის სასახლიდგან გარეთ

მარტო დიდ შესაწირავისა ან ნადირობის დროს გამოდიოდა. თან მისდევდნენ კაი იარაღით მორთული ქალები. ინდოეთის მეფეებს ბევრი, ბევრი ცოლები ჰყვანდათ; ვინცკი ერთერთის შეხედვას გაჰხედავდა უნდა მამკვდარიყო. ბევრი ცოლებისაგან ბევრი შვილები ჰყვანდათ და ვაჟი-შვილებმაც გამეფებისათვის ხშირათ ერთმანერთთან ჩხუბი იცოდნენ.

რა არის ღირსება მოემატოსო, ბრამანები მეფეს იშვიათათ ნებას აძლევდნენ ხალხსა სჩვენებოდა. და როცა მეფე ხალხს გამოეცხადებოდა, ხალხი გულმოკრეფით უხვდებოდა, დედამიწას ემხობოდა და მეფეზე ღიაცულობდა.

ბრამანები მეფეებს კანონათ უდებდნენ, რომ „ყველა მომაჯნე ხალხს მტერსავით უყურებდნენ და ყველა ღონისძიებით გამოიძიონ, რაშია ის ხალხი სუსტი“. ამისთვის მეფეს მზვერავათ (ჯაშუშათ) უნდა ჰყოლოდა: პირფერი ფარისეველი კაცები, მეუღაბნოელები, გაკუტრებულნი ვაჭრები... ამ მზვერავებს (ჯაშუშებს) ეომიჯნე ხალხში ქრთამით შფოთი უნდა ჩაეგდოთ, რომ ის ხალხი დასუსტებულიყო, ძლა წართმეოდა.

ამას გარდა ინდოეთის მეფეებს თავის სამეფოშიაც საიდუმლოთ მზვერავები და მახეზღრები ჰყვანდათ. ამათ კარგათ თვალ-ყური უნდა სჭირებოდათ ქურდობაზე, მთვრალობაზე და ჭანდრაკის თამაშობაზე. ბრამანებს რა ჰაზრიცა ჰქონდათ კე-



თილ საქმეზე და სულის სიმშვიდეზე, იმ ჰაზრის წინაღმდეგი იყო ჭანდრაკის თამაშობა.

ინდოეთის მეფეების სიმდიდრეს, ოქროთ ნაქსოვ ტანისამოსებს, მეფის ცოლების მორთულობას, დიდ კერძობას (ამალას), ღმერთებისათვის, ბრამანებისთვის და ჯარისთვის (1) ხარჯს—ყველა ამას დიდი ხარჯი უნდოდა. ამისთვის ყველაფერზე ძალიან შესავიწროებელი ხარჯი იყო დადებული. ამ ხარჯისაგან ეს ქვეყანა სრულებით განადგურდა. ხარჯს კაცის თავზე იღებდნენ, კიდევ პურზე, ხილზე, ბოსტნეულზე. იღებდნენ საბაჟოებში. ხელოვნებში და მუშა კაცებს თვეში ერთი დღე მეფისთვის უნდა ემუშავნათ. შერცხლისა და ოქროს მადნები ან სულ ან ნახევარი მეფისა იყო. მეფესთან ახლოს არავის არ შეეძლო მიახლოებულიყო, თუ მისართმევი არ მიეტანა. ამას გარდა მოხელეები მეტ ხარჯსა ჰკრეფდნენ და ხალხსა სჩაგრავენენ. ამის გამოთ თუმცა ინდოეთის მიწა ძალიან მომცემი მიწა იყო და ყველა მოსაგალით მდიდარი, მაგრამ ხალხი სულ გაჭირვებითა და მწუხარებითა სცხოვრებდა. . . . მარტო ერთი ბრამანები და მეუღაბნოელები ხარჯს არ აძლევდნენ. . . .

თუმცა ხალხი მორჩილებას შეეჩვია, ეს წესადებულიება ისეთი ცუდი იყო, რომ იმის ასასრუ-

(1) ინდოეთში ომიანობაში სპილო გაჰყვანდათ. თითქმის ინდოეთის ყველა მეფეს სპილო ძალიან უყვარდა; ზოგი ერთ მეფეს 6,000-მდის საჯარო სპილო ჰყვანდა.

ლებლათ სასტიკი სასჯელი უნდა ეხმარებინათ. პრა თუ მეფის გაუპატიურებისთვის, ყოველ გვარ დანაშაულობისთვის იმასთან და მოხელეებთან სისხლით ახდევინებდნენ. ბრამანები სამღთო ვალათ აგონებდნენ მეფეს, რომ „შეუბრალებლათ დაესაჯა.“ მანუს კანონებში სწერია: დასჯა—ბრძენი გამგებელი, მომვლელია კანონებისაო(!). მეფევ, შეუბრალებლათ ნუ დასჯი ბრალეულსა, თორემ უკანასკნელი კასტის კაცი მაღალ კასტებში შეეტუნებაო.“ ბევრი პირუტყვის მოკვლა აკრძალული იყო, მაგრამ ამასთანკი კაცებს ყოველთვის სიკვდილითა სჯიდნენ. სიკვდილით დასჯა სხვა და სხვა იყო: ზოგს თავსა სჭრიდნენ, ზოგსა სწვამდნენ. ზოგს ახიობდნენ, პალოზე ჩამოაცვამდნენ ხოლომე, სპილოებს ფეხით ასრესინებდნენ. მართო ერთი ბრამანებისა არც მოკვლა და არც გვამით დასჯა შეიძლებოდა. იმათთვის ყველაზე დიდი დასჯა ის იყო, რომ გააგდებდნენ.

შეჭირვებული სიცოცხლე ჰქონდა ინდოელ კაცსა. ამასთანვე ბრამანები ეუბნებოდნენ, რომ „გვამი სულის სატუსალოა და ბედნიერების მოპოება საიქიოს შეიძლებაო“. ამის გამოთ ინდოელებს სიცოცხლე არ უყვარდათ და ბევრი თავს იკლავდა. ინდოელებს ყველა ავათმყოფობა საკიცხაფი ეგოდათ. შინცკი ავათმყოფობას შეიმჩნევდა, საცხებელს წაიცხებდა ტანზე, გროვათ დაწყობილ შეშაზე (კოცონზე) შედგებოდა, შეშას ცეცხლს მოა-

კიდებინებდა და თითონ გულგრილად იწოდა. ზოგი ზღვაში თავს იხიობდა, ზოგი ღრმა ხეობაში გადავარდებოდა, სხვანი მახვილით (ძველებური ხმალსავით იარაღია) თავს იკლამდნენ ან თოკით თავს იხიობდნენ. მიცვალებულებს ნეტარელებსავით ადიდებდნენ. მეგობრები და ნათესავეები კაცს სიკვდილის დროს ისე გულგრილათ უყურებდნენ, როგორც ჩვენ შორეული მცნობი კაცის ახლო სადმე გამეზავრებას უყურებთ. ასე მტკიცეთა სჯეროდათ, რომ სიკვდილს შემდეგ კაცს დიდხანს ნეტარელი ცხოვრება ექნებაო.

ბრამანები ყოველისფრითა ცდილობდნენ, რომ თავიანთი ზედ მოქმედება ხალხზე გაეძრიელებინათ, დაიწყეს ჩაგონება ხალხისა, რომ ყმაწვილების გასამრავლებლათ ჩვენნი დალოცვაა საჭიროვო. ამბობდნენ, რომ „შეყვარებით ცოლქმრობას სიკეთე არ მოსდევსო“. მართო ის ცოლქმრობაა დალოცვილი, რომელსაც ბრამანები დალოცვენო. დაქორწილება საკურთხეველისწინ იცოდნენ. საკურთხეველს ყვაველებითა რთამდნენ. მეფე და პატარძალი ხელდაჭერილები რამდენჯერმე საკურთხეველს გარს უნდა შემოვლებოდნენ. ამასთან ლოცვებს უკითხავდნენ და სხვა ბევრი ცერემონიებიც იცოდნენ. შევლას სამღთო ვალათ ედვა — ცოლი და შვილები ჰყოლოდა. სჯეროდათ რომ მართო შვილს შეუძლია იმისთანა შესაწირავის შეწირვა, რომ მამის სული ჯოჯოხეთიდან გამოიხსნასო.

მანამ უფროსი ქალი არ გათხოვილიყო უმცროსი ვერ გათხოვდებოდა. სოლებისთვის დადებული კანონები უფრო სასტიკი იყო ქმრებისაზე. სოლი უნდა ქმარს ემორჩილებოდესო. მანუს კანონებში იყო: „ცოლს ქმარი მაშინაცკი უნდა უყვარდეს, რომ ქმარი ცუდათ ეპყრობოდეს და სხვა დედაკაცი უყვარდეს; რიგიანი ცოლი მაინც და მაინც ღმერთსავით უნდა პატივსა სცემდეს თავის ქმარსო“. ქმარს საჩუქრები უნდა მიეცა, რომ ცოლი იმის სასიამოვნოთ მორთულიყო. სოლი რომ მოუკვდებოდა ქმარს, თუ უნდოდა მეორეთ ცოლს შეერთამდა; ცოლსკი რომ ქმარი მოჰკლამიყო, სამუდამოთ ქვრივათ უნდა დარჩენილიყო. ქვრივები ქმრის სიკვდილს შემდეგ ხშირათ ცეცხლში თავებს იწვამდნენ. ასე ეგონათ, რომ თავის თავის დაწვით სულს აცხონებენ, და ამ გვარი საქციელი ქმრის სიყვარულის ნიშანიაო. ეს ადათი ინდოეთში დღევანდლამდინ დარჩენილა.

ამისთანა კანონებითა და ადათებით ფიქრი, ჭაზრი, განსჯა რაზედმე აკრძალული იყო, ხალხი ღონე მოკლებული იყო და თავის მდგომარეობის გაუკეთესებას აღარა ცდილობდა.

ბრამანები ქადაგებდნენ და ამბობდნენ, მართო ინდოეთია წმინდა ქვეყანაო, სხვა ქვეყნები უწმინდურები არიანო. ამისა გამო ინდოელებს უცხო ქვეყნის კაცები სძულდათ. იმიტომ კიდევ თითქმის არასდროს მომიჯნე ხალხის ქვეყნებში

არ დაიარებოდნენ. მაგრამ ვაჭრობა ისე ხელს აძლევდა, რომ უცხო ქვეყნელებს ინდოეთში მოსვლის ნებას აძლევდნენ. იმ დროებაში ინდოეთის ფარჩეულობა ძალიან გათქმული იყო. ინდოელი ხელოსნები აგრეთვე რკინის, ვერცხლის და ოქროს კარგ ნივთეულობას აკეთებდნენ. რკინისაგან ფულადის გაკეთებაც იცოდნენ. ამაებს კაი ოსტატობა უნდოდა.

ინდოელები უფრო თეთრი ტანისამოსით დადიოდნენ; ბევრი ცრიატი ფერისა და ჭრელი კანათის ტანისამოსს იცვამდა. ზემოდამ საცმელს მარჯვენა მხარზე ნასკვამდნენ. თავის თმას იწნამდნენ და ზემოდამ შუბლსაკრავით იკრამდნენ; წვერის გძლათ გამოშვება იცოდნენ, ხანდისხან იღებავდნენ. მდიდრები ჭრელათ ნახატ მაღალ ქუსლიან თეთრ ტყავის წულებს იცვამდნენ. ღედაკაცები ხელს და ფეხს სანდლით იღებავდნენ; ნაოჭიან კაბას იცვამდნენ და ბრწყინვალე ქამარს ირტყამდნენ. მმას ლამაზათ იწნამდნენ და ზედ ყვავილების გვირგვინს იდგამდნენ. ჭელზე სხვა და სხვა ოქროსა და სადაფის ჩანჩხურა ეკიდათ. ჩასაკვრელია ვინც ქონებიანი იყო, ის ფამოდლიოდა ასე.

II.

უწინდელი ინდოელეზი.

1.

ეგვიპტის ქვეყანა.

ეგვიპტეც (ჩვენში ზოგჯერ მისირს ეძახიან) ინდოეთსავეთ ისეთი თბილი ქვეყანაა, რომ ზამთარი არას დროს არ იცის. იქ ინდის ხურმის ხე ხეირობს და სხვა ყველა ნაირი ხილი მოდის. სულ ვაკე და გრძელი ადგილია ეს ქვეყანა; შუაში სიგძეზე მოუდის მდინარე წყალი ნილოსი. ამ მდინარეს სათავე თოვლიან მთებში აქვს და ქვეყნის შუა ზღვაში მიდის (\*). ამ წყლის ორსავეს ნაპირებზე ეგვიპტელები იდგნენ. რაკი დიდი წვიმები

(\*) იმერეთიდან რომ წავიდეთ და ზღვით ვიაროთ კონსტანტინოპოლამდინ (სტამბოლამდინ) შავ ზღვას გავივლით. იქიდანვე მერე პატარა ზღვა სახელათ მარმარილოს ზღვაჲ რომ გავიაროთ, საბერძნეთის ახლო ზღვაში არქიპელაგოში მივაღოთ. ამ ზღვასთან იქითა მხარეს მაშინვე შეერთებულია სხვა დიდი გაშლილი ზღვა; სახელათ ქვეყნის-შუა-ზღვას ეძახიან. ამ ქვეყნის-შუა-ზღვის მარჯვენა ნაპირებზე ეგროპიის სხვა და სხვა სახელმწიფოებია, ქრისტიანები დგანან. მარცხენა ნაპირზე მაჰმადიანები არიან. შიგა და შიგ ცოტა ქრისტიანებიც ურევნიან. სულ მარცხნივ და უფრო ჩვენკენ, ნაპირთან ახლოს იერუსალიმია, - იმას იქილამ ეგვიპტეა.

მთარგ.

მოვა, მთის თოვლი დადნება, ნილოსის მდინარე აღიდებას დაიწყობს, გარშემო მინდვრებს დაიჭერს და შლამს დასდებს. მასუკან რაკი წყალი იკლებს; ეგვიპტელები ამ შლამზედა სთესენ. ამ შლამზე მეტათ საუცხოვო პური მოდიოდა; დიდი წვიმები ყოველ წელს მოდიოდა ხოლმე კათათვეში და ენკენისთვეში; ღვინობისთვეში სთესდნენ და ფებერვალში შემოვიდოდა და მარტში სჭრიდნენ.

რამთენათაც ნილოსი მეტათ აღიდებოდა, მოსავალი იმთონათ უკეთესი მოვიდოდა. ეს წყალი რომ არა ჰქონოდა ეგვიპტეს, ცარიელი ქვიშის უდაბური ადგილი იქნებოდა, როგორც იმის ახლო ადგილები. ეგვიპტესთან ახლოს, გვერდით ერთი უშველებელი უდაბნოა—საჰარა: სულ ქვიშაა და ქვიშა; არავინ არცკი დგას იქა და წყალიც თითქმის არსად არ არის. იქ მავალი კაცის სიცოცხლე საეჭვოა, ან ქარის მოტანილ ქვიშას მოჰყვება, დაიხჩობა; ან სიმწყურვალე მოჰკლამს, წყალს იქ ძალიან იშვიათათ ნახამს კაცი. საცაკი წყაროა, გარეშემო ბალახია და ხეები. ამისთანა ადგილებში მგზავრი ჩამოხდება, აქლემს საჭმელს აჭმევს და თითონაც წყალსა სვამს.

ეგვიპტეში ყველაზე მოსავლიანი მიწა დიდის ქალაქის ომბასთან ახლოს იყო. იქ ერთ გვარი პური მოდიოდა დ გ უ რ ა; ამ პურის ერთი მარცვალი 240 მარცვალს იძლეოდა. მაინც მთელ ეგვიპტეში კაი მიწა იყო; საჭმო იაფი იყო და ადვილათ

საშოვარი. ამის გამო ხალხიც ძალიანა შრავლდებოდა. ამ ადგილმა სიცხე იკოდა და თბილ ტანისამოსს არავინ არა ხმარობდა, ყმაწვილები სულ შიშვლები დადიოდნენ. ამიტომ ჩჩენა იაფი იყო. ყმაწვილის გაზდა ჰასაკში შესვლამდინ რომ იანგარიშოს კაცმა, ოთხ მანეთათა ჯდებოდა. ამისა გამოთ კიდევ მევიპტეში დიდი ხალხი იყო. მევიპტის ქვეყანა თუმცა დიდი ადგილი არ არის, მაგრამ ამბობენ თითქმის 18,000 ქალაქი კი იყოვო.

მევიპტის ქვეყანა აგრეთვე სხვა და სხვა ქვითა და გრანიტით (მაგარი ერთ გვარი ქვაა) მდიდარი იყო: გრანიტის ქვის სხვა და სხვა შენობაებს აშენებდნენ. სპილენძი გამოჰყვანდათ წითელ ზღვასთან ახლოსა.

მევიპტის ხალხი არეული ხალხი იყო: თეთრი კაციც იყო იქა და შავი მთიოპელიც კაციცა. შავ მთიოპელი კაცს (ჩვენ რო არაბს ვეძახით) ყბები და ნიკაპი გამოშვერილი ჰქონდა, თვალის კაკლები ჩვენზე უფრო ამობუშტებული, მსხვილი ტუჩები, განიერი და ბრტყელი ცხვირი ჰქონდა. მთერ ეგვიპტელებს მოგრძო და წმინდა ცხვირი ჰქონდათ, გაწეული თვალები, დაბალი ტანი და გრძელი ფეხები; ყურები ჩვენზე მაღლა, თითქმის რქებსავითა ჰქონდათ.



2.

ეგვიპტელების სარწმუნოება.

ეგვიპტის ქვეყანას ცხარე მზე ათბობდა—და ამ სითბოს საუკეთესო მოსავალი მოჰყვანდა. ამის გამო ძველის ძველათგანვე ეგვიპტელებს ღმერთათა სწამდათ მზე. „**ფ რ ა ს**“ ეძახდნენ მზესა და ლოცვებში ამ გვარათ აქებდნენ: „მზე გაცეცხლებული გადივლის ხოლმე ქვეყანასა, მიდის და სინათლესა ჰფენს; ეს ღმერთი სწმენდს და ანათებს; ღმერთი ძალითა ჰბრწყინავს, ღმერთი სიბნელესა ჰფანტავს, ღმერთი ყველას ათბობს“. ამავე ღმერთსა სთხოვდნენ ეგვიპტელები მტერზე გამარჯვებასა და საუკუნო ცხოვრებასა.

ეგვიპტელებს რამდენიმე მზის ღმერთი სწამდათ. ერთ ღმერთს (**ამონ-რას**) ლურჯ ფერ ვაჟიკაცათა ხატავდნენ; ორ მაღალ ფრთიანი მრგვალი ქუდი ეხურა თავზე და ზედ მზის თვალი ადგა, ხელში ჯოხი (კვართხი) ეჭირა. მეორე ღმერთს (**ანეფს**) მწვანე, კაცის ტანით და ბატკნის თავიან სახითა ხატამდნენ. **პტა**-ღმერთს ან ლომის, ან კატის თავიანსა სახავდნენ. თავზე მზის თვალი ადგა და ხელში—სიცოცხლის ჯვარი ეჭირა. **პტის** ტაძრის (სალოცავი სახლის) გალავანში „წმინდა“ ხარი **პკისი** ჰყვანდათ. ეს ხარი შა-

ვი ნიშა-ხარი იყო, ორ კეცი თმიანი კუდი ჰქონდა. მევიპტელებსა სწამდათ რომ ამისთანა ხარი მზის ნაშობიაო. აპისი რო მოკვდებოდა დიდის ავლადიდებითა მარხამდნენ და მთელი ხალხი გლოვობდა, მანამ ქურუმები (მღვდლები) ახალ აპის არ იპოვნიდნენ. რო იპოვნიდნენ და ხალხს გამოუცხადებდნენ, შვიდი დღე ყველა დღესასწაულ უქმეთა ხდილობდა. აპისი წმინდა ხარათა სწამდათ; ამის გამოთ აკრძალული იყო ხარის მოკვლა, რა ნაირიც უნდა ყოფილიყო, მანამ თითონ ქურუმებს არ გაეშინჯათ და არ გადაეჭრათ, რომ ეს ხარი აპისი არ არისო. სიცოცხლის დროს აპისი ახურში იდგა; წყალს ნილოსისას არ ასმევდნენ, ერთ საგანგებო ჭისას ასმევდნენ. მევიპტელები იმ ახურში მიდიოდნენ და აპისის მოძრაობაზედ თავ გადასავალის კითხვა იცოდნენ.

მაგრამ მევიპტის ქვეყანამ ჭირიანობა იცოდა, უხამიანი ჭია-ჭუა და ძალიან არდადეგები. ეს ყველა ხალხს ზიანს აძლევდა; ამიტომ კიდევ მევიპტელებს ეგონათ, რომ სულ ესენი მეორე დამქცევ და გამოხრებელ ღმერთის ტიფონისაგან არისო, ტიფონისთვის შეწირული ჰყვანდათ ვირი და ძროკოდ ილო; (\*) სწამდათ, რომ ტიფონის დაბადების დღე უბედური დღეაო.

---

(\*) ძროკოდ ილო ჩვენში არ არის. ზოჯოს მსგავსი პირუტყვია. სამ ადღზე მეტია. ბაყაყსავეთ წყალშიაცა ცხოვრობს და მშრალა მიწაზედაც (მიწა-წყლადია). ნადირსავეთ კაცის დაშავება იცის.

ღღესასწაულ დღეებში საღმთო ავლადიდებით  
სიარული და შესაწირავის შეწირვა იცოდნენ. ღმე-  
რთებს შესაწირავათ მოუტანდნენ ხოლმე ხილსა,  
ყვავილებსა და სალოცავებს უკმევდნენ. საკურთ-  
ხეველზე შესწირავდნენ ხოლმე შესაწირავსა, ცხ-  
ვარს, ძროხას, ხბოს, და ბატს დაჰკლავდნენ ზედა.  
ტაძარში ყვავილის გვირგვინებს აწყობდნენ. ქალა-  
ქებსა და სოფლებს გარშემო შემოუტარებდნენ  
ხოლმე ღმერთების მდიდრათ შექედილ ხატებსა.  
ძაი სასუნებლებს წასცხებდნენ ხოლმე ამ ხატებსა.  
ავლადიდების დროს დიდი ხალხი გროვდებოდა.  
მაგრამ თან და თან ეს ცერემონიები—ცარიელი  
ფარისეველობა გახდა. ხალხი ამაებსა ხდილობდა  
სრულებით უჰაზროთ, დაუფიქრელათ. ეგვიპტე-  
ლებმა ბევრ გვარი ბანა და განწმენდა იცოდნენ.  
ღაშლილობა იყო ზოგი ერთი საქმლის ჭამა; ზო-  
გი ერთი ტანისამოსის ჩაცმა არ შეიძლებოდა.  
სხვა და სხვა მარხვა და ადათი მაგრა ეჭირათ.  
ნელნელა ყველა ამას აზრი დაეკარგა, აზრი აღა-  
რა ჰქონდა; ყველას ამას ეგვიპტელები ასრულებ-  
დნენ, მაგრამ კი არ ესმოდათ, რისთვის ჩადიან  
და ან რა საქროა.

ჰველა ღმერთისთვის თითო პირუტყვი ჰყვან-  
დათ შეწირული. თითონ ღმერთებს ან კატის, ან  
ლომის, ან ბატკნის თავიან სახითა ხატამდნენ;  
და ყველა ღმერთს თავისი წმინდა პირუტყვი ჰყვა-  
ნდა. ამ პირუტყვებს ტაძრებთან ინახამდნენ და

მეტის მეტათ კარგათ უვლიდნენ. წმინდა მფრინ-  
ვლებს ქალწული ქალები უვლიდნენ. ეს ქალები  
იქვე ტაძრებთან იდგნენ და ამისთვის ჰქონდათ  
თავი შეწირული. რამდენიც უფრო მეტათა სწამ-  
დათ ერთერთი ღმერთი, იმდენათ იმის პირუტყვს  
მეტ პატივს აძლევდნენ. ეს წმინდა პირუტყვები  
სხვა და სხვანი იყვნენ: ერთ ადგილს თხა სწამდათ,  
მეორეს—კროკოდილო, მესამეს ბატკანი და სხვა.  
ვინც კი ამისთანა პირუტყვს განგებ მოჰკლამდა  
მკვლელს სიკვდილით გადაახდევინებდნენ; თუ  
უეცრათ შემოჰკვდომიყო, ღიდი ფული გადახდე-  
ბოდა.

ზოგიერთი პირუტყვი თითქმის ღმერთსავითა  
სწამდა ხალხსა; შესაწირავს შესწირამდა ხოლმე,  
საყულოებითა რთამდა, იმის დღეობასა ხდილობდა,  
საუკეთესო საჭმელს აჭმევდა, კაი სასუნებლებს უს-  
ვამდა (სცხებდა), რთამდა და საწმინდანო კუბოთი  
მარხამდა. ვისაც კი ძერა მოეკლა, თუნდა უეცრათ,  
სიკვდილით გადაახდევინებდნენ შეუწყალებლათ.  
სახლს რომ ცეცხლი მოსდებოდა, კატის გადარ-  
ჩენას უფრო ცდილობდნენ ცეცხლის გაქრობაზე.  
სადმე სახლში რომ სიბერისაგან კატა მამკვდარიყო,  
გლოვის ნიშნათ მთელ სახლობას წარბები უნდა  
მოეპარსა. ძალლი რომ მამკვდარიყო, მთელი ტანი-  
სა და თავის თმა სულ უნდა გადაეპარსნათ. თება  
ქალაქის მცხოვრებლებს შინაური კროკოდილო სწამ-  
დათ. საუცხოვოთ ინახამდნენ, საღმერთო საჭმელს

აჭმევდნენ, ოქროს საყურეებს უყრიდნენ ყურებში და წინაფეხებზე სამაჯეებს აცვამდნენ. მაგრამ სხვა ადგილებში კროკოდილოსა ჰკლამდნენ. ქროკოდილოსაგან მოკლული კაცის გვამი წმინდა ეგონათ. არც მეგობარს, არც ნათესავს იმ მკვლართან ახლოს მიდგომა არ შეეძლო. მართო ქურუმები მოვიდოდნენ და იმავ ადგილას მარხავდნენ, საცა მამკვდარიყო.

ვისმე რომ კატა მოეკლა, ხალხი მობრბენდა და სამართლის გადუჭრელათ იმ კაცსა სტანჯამდა. ამ დასჯისა ძალიან ეშინოდათ: ვისმე რომ ენახა ამგვარი მკვდარი პირუტყვი, დგებოდა შორი ახლო, ყვიროდა და ტირილით იხვეწებოდა, რომ ესე მკვდარი დამხვდაო. ხალხი ამ წმინდა პირუტყვების ღმერთებთან სალოცავათ, რომ მიდიოდა, ყმაწვილებს თმას უკრეჭდნენ და ამ თმის წონა ვერცხლი ღმერთების ტაძრის მსახურ ქალებისთვის მიჰქონდათ. ის ქალები ამ ფულით თევზსა ყიდულობდნენ და პირუტყვებს აჭმევდნენ. ამას გარდა წმინდა პირუტყვებს თეთრი ფქვილის ფაფას, რძეში მოხარშულ სიმიდს და სხვა და სხვა ქადასავით თაფლითა და ხორცით გამოცხობილს აჭმევდნენ; ყოველდღე საგანგებო ზეთითა ზელდნენ, სურნელებას უკმევდნენ, საუცხოვო მშვენიერ ქვეშაგებს უგებდნენ. მართი სიტყვით დიდი ფული და შრომა იკარგებოდა ამ პირუტყვების შენახვაზედა.

მგვიპტელებსა სწამდათ, რომ მართალი და

ღეთისნიერი კაცის სული სამოთხეში მიდისო. მიცვალებულის სული ჯერ ქვეშკნელს მოივლისო; იქ სხვა და სხვა მღევი, ვეშაპი, გველი და კროკოდილოაო. იქილამ კაცის სული ნეტარების ადგილს მიდის, საცა აღმოსავლეთისაკენ მზის ღმერთი შრავაო. შრავს სამოთხის სამეფოში მართალი კაცების სულები ნეტარელ სიცოცხლეს ატარებენო; სოფლის სამუშაო საქმეს აკეთებენ, მხიარულათ დასერიებენ ყვავილების და ხეების ხეივნებში, სამოთხის წყლებში ბანაობენ, სამოთხის ხილსა ჰკრეფენ და ან თითონა სჭამენ, ან ღმერთებსა სწირამენო. მართის სიტყვით სიხარულში და ნეტარებაში არიანო.

სოდვილის სული კი ჯოჯოხეთში მიდისო. ჯოჯოხეთს ეშმაკები იარაღებითა ჰყარაულობენ. სულები სვეტებზე არიან მიბმულები და წითელი ეშმაკები მანვილებით (ძველებური ხმალსავით იარაღითა) სჩეხენო. სხვა სულები თავდაყირა ჰკიდიან, ზოგნი უთავოთ იტანჯებიან, ზოგნი კიდევ დიდ ქვაბებში იხარშებიან... რაგვარი შიში არ გინდა, ქურუმებმა არ მოიგონეს, რომ საწყალი ხალხი დაეშინებინათ!.. მგვიპტელებს აგრეთვე სჯეროდათ, რომ სიკვდილს უკან მიცვალებულების სულები პირუტყვებში გადავა და ამგვართ ქვეყანაზე დადიანო. ასე დადიან მანამდის ჰკედრებს სამართალი არ გადეჭრებათ, რომ სამოთხეში შესვლის ღირსნი არიანო.

ჭურჭუმები ამბობდნენ, რომ ამ ქვეყნის სიკეთეს კაცს ღმერთები აძლევდნენ; ვისაც საქმე მოეპარჯვა ჩანს ღმერთები მომადრიელებული ჰყავსო კაი რამ საქმითა; თუ კაცს უბედურება მოუვიდა — ჩანს ღმერთი რითიმე უღმერთო საქმით შეუწყენიაო. ჭურჭუმები ხალხს ასწავლიდნენ, რომ კაცის სიცოცხლის ჰაზრი ერთი არისო — ღმერთების სამსახურიო.

მაინც და მაინც ეგვიპტელებს სააქაო სიცოცხლე უფრო უყვარდათ ინდოელებზე. ინდოეთში ღვიძლი ნათესავის სიკვდილი უხაროდათ; ეგვიპტეში რომ შინაური მოუკვდებოდათ ვინმე, იმ ოჯახის დედა-კაცები გლოვის ნიშნათ თავ-პირზე მიწას წაიგლესდნენ; მიცვალებულს შინ დაადებდნენ და გულში ცემით ქალაქს დარბოდნენ. მაჟი-კაცებიც ასე ჩადიოდნენ. ამას გარდა ამისთანა დროს არწმუნდნენ ებანათ, ღვინო ესვათ, კაი საჭმელი ეჭამათ და კარგი ჩაეცვათ.

ეგვიპტელებს ადამიანთა შორის მდიდარი მიცვალებულის გვამის „ბალახინით შემუტვა“: იმისთანა წამალს უსვამდნენ, რომ მთელი ათასი წლობით გვამი არა ლპებოდა. ამისთვის მკვდრის გვამს გამოსწლავდნენ, შიგნეულობას გამოსწმენდნენ, ინდის ხურმის არყით გამოჰბანდნენ, სხვა და სხვა ზეთითა ზეოდნენ 30 დღეს, გვამს გამოსტენდნენ მურითა (მირროთი, ზეთის მსგავსი სურნელითა) და სხვა და სხვა სურნელი ბალახებითა და მერ

გაჰკერავდნენ (\*). შემდეგ ტანის ყველა ასოს ცალ-ცალკე წმინდა სახვევით გაახვევდნენ და მერე ერთიანათ სუდარეში ახვევდნენ. გულ-მუცელზე მკვდარს რამდენსამე კერპებს უწყობდნენ და თან კუბოში საიქიო ცხოვრების დაწერილ დარიგებას ჩაატანდნენ ხოლმე. ღამარხვის დროს მომტირალე დედაკაცებს იჭერდნენ, რომ მკვდარზე ეგლოვათ. აგრეთვე კაცებსაც იჭერდნენ, რომ ინდის-ხურმის შტო ხელში დაჭერილი კუბოს მიჰყოლოდნენ. შუან მიცვალებულის ნათესავეები და მცნობები მძიმეთ შისდევდნენ. კუბოს საფლავეში რომ ჩაზღებდნენ, ქურუმი საკმელს მოუკიდებდა და მიცვალებულის მცნობი ვინმე იმის სიკეთეს აქებდა.

არც ერთი ხალხი ასე დიდათ არა ზრუნამდა მიცვალებულებისთვის, როგორც ეგვიპტელები. საფლავეები კლდეებში იყო ხალხის სადგომიდან მოშორებით. მგვიპტელი კაცი თავის სიცოცხლეშივე საფლავს იმზადებდა და ამშვენებდა. სადგომ სახლისთვის ისე გულმოდგინეთ არა ზრუნავდა, როგორც საფლავის გაკეთებისათვის. მეტადრე მეფეებს უყვარდათ თავისთვის მდიდარი და მორთული სასაფლაო, აკელდამების აშენება. მეფის აკელდამები 50 საჟენი სიმაღლე ქვითკირის შენობა იყო. პირამიდებს უძახდნენ ამ აკელდამებს. რაკი მეფე დაჯდებოდა ტახტზე, მაშინვე თავისთვის პირამიდას

---

(\*) მგვიპტელებმა აგრეთვე მკვდარი წმინდა პირუტყვების ბლაზინით — შემუტრვა იცოდნენ.



ააშენებინებდა. იმის სიკვდილამდინ ყოველ წლივ  
შენობას სულ თან და თან ამაღლებდნენ. ზოგი-  
ერთ პირამიდას 100 საჟენი სიმაღლე ჰქონდა.  
ქვის მოტანა და გათლა ძვირათა ჯდებოდა. . .  
მაგრამ ხარჯს არ დასდევდნენ.

მგვიპტის მეფეები სხვა მაღალ ქვითკირის  
შენობაებსაც (ო ბ ე ლ ი ს კ ე ბ ს) აშენებდნენ ღმე-  
რთებისთვის, ღმერთისთვის და სხვებისთვი-  
საც. ღმერთები მეფეების პატივისცემაზე ძალიან  
მადლობელნი არიანო. მეფე რომ დიდ და მშვენი-  
ერ ტაძარს აუშენებდა ღმერთსა, ღმერთი თავის  
საყვარელ შვილს მეფეს ეუბნებოდა: „შენ ათასი  
წელიწადი მეფეთ-ღმერთი იყო და საუკუნო  
სიცოცხლე გვიბოძებია შენთვისაო.“ ამ ტაძრებზე  
ამისთანა ბაქიობის ზედ წარწერასა სწერდნენ: „ესა და  
ეს მეფე ძლიერი და ბრძენი მეფობს სამართლიანათ;  
თავისი საბძანებლები გააწყო, დიდია თავის ძლიე-  
რებითა, უცხო ქვეყნების ხალხნი დაამარცხა. მარ-  
თალი მეფეა, შეყვარებული შვილია ღმერთისა; მგვი-  
პტის მბძანებელმან ბძანა ამ ტაძრის აშენება და  
შესწირა თავის მამას ღმერთსა. მაგარის ქვითკირის  
ააშენა ესა, რომ მკვიდრი შენობა იყოს. ეს გააკე-  
თა მზის შვილმა ამა და ამ მეფემ, ამა და ამ ღმე-  
რთის საყვარელმა.“

და მართლათაც ეს ტაძრები ისე მშვენიერები  
არ იყო, როგორც საკვირვლათ მაგარი და მკვიდ-  
რი. ძურუმები პლანებსა ხატამდნენ, მუშაობაზე

თვალ-ყური ეჭირათ და ტაძრის შენობის დროს ძალიანა ცდილობდნენ ისეთი გამოსულიყო, რომ ხალხი გაეკვირათ და ღვთისნიერი გრძნობა (კეთილმოწიწება) ჩაეგონებინათ, და ღმერთის ადგილს მედიდურობა დასტყობოდა.

### 3.

## მგვიპტის მუშაობი (შარაონები).

მგვიპტელებს ძველის ძველ დროებიდგანვე მეფეები ჰყვანდათ. ის იყო მარტო მეფეების საქმე, რომ სულ სხვა და სხვა აკელდამებს და პირამიდებს აშენებდნენ. მშენების გამართვა იცოდნენ კიდევ; მაგრამ უფრო კი აკელდამებს აშენებდნენ. ამ გვართ მეფე ხეოფსის აკელდამის აშენებაზე ოცდა ათი წელიწადი 100,000 კაცი მუშაობდა. თუმცა მგვიპტეში ხორაგი იაფია, მაგრამ მუშა კაცის საქმით მარტო ერთ ხახვზე, ბოლოკზე და ნიორზე ორ მილიონნახევარ მანათამდინ ფული დაიხარჯა (ჩვენებურ ფულათ რო ვიანგარიშით).

მგვიპტელების თავი ქალაქი ჯერ მემფისი იყო. მასუკან როცა მეფეებმა ამისთანა მძიმე მუშაობით ჯანი გააგდებინეს და შეაწუხეს ხალხი, თავი ქალაქი ზემო მგვიპტის ქალაქი თება გახდა. მაგრამ თებაშიაც, მემფისშიაც მგვიპტის მეფეები განუსაზღვრელი ბძანებლები იყვნენ (რაც უნდო-

დათ იმას ჩადიოდნენ). ეგვიპტის კაცი (ქვეშემვრ-  
ლომი)—ნივთსავით მეფის საკუთრება იყო; ეგვიპ-  
ტელები იმის მოწები, ყმები იყვნენ. მეფეები ეგვი-  
პტელებს ღმერთების მემკვიდრეებათა სწამდათ და  
ფარაონს ეძახდნენ; ფარაონ სიტყვიდამ შრა-მზის  
ღმერთი გამოდის (ჩვენ რო ვიცით სახელის დარ-  
ქმევა მზე-ჭაბუკი, ღვთისა-ვარ, ვარდისა-ხარ—ესეც  
ისეთი სახელია). შარაონები ღმერთების მოადგი-  
ლენი არიან ქვეყანაზედაო. ეგვიპტელებსა სწამ-  
დათ, რომ ღმერთები მეფეების გვამში იდგნენ და  
იმათით ქვეყანას უვლიდნენ, განაგებდნენ. ბევრი  
მეფეები ღმერთათა სწამდათ, არა თუ მარტო სიკ-  
ვდილის შემდეგ, სიცოცხლეშივე. მეფეებს ისეთ  
პატივს აძლევდნენ, როგორც ღმერთებსა და „სი-  
ცოცხლის მამცემს“ ეძახდნენ.

შარაონები ჯარის კასტისაგანნი იყვნენ, მაგ-  
რამ ქურუმების უფლებაცა ჰქონდათ. მეფეც მოწა-  
წილე იყო ხოლმე სასულიერო რიგის გადახდაში;  
ქურუმსავით ღმერთან ერთობა შეეძლო; მუდამ  
დღე დილაობით ღმერთებს შესაწირავსა სწირამდა.  
შველაზე გამოჩენილი ქურუმების შვილები ემსახუ-  
რებოდნენ მეფესა და ძალიან თავი მოსწონდათ  
თავიანთ სამსახურითა. თუმც მეფეს რაც უნდოდა  
შეეძლო ექმნა, (განუსაზღვრელი უფლობა ჰქონ-  
და); მაგრამ ქურუმებს იმაზე დიდი ზედ-მოქმე-  
დება ჰქონდათ; დარიგებას აძლევდნენ არა თუ  
მარტო როგორ მოუარონ, განაგონ სახელმწიფო,

შინაურ საქმისთვისა და საქმოსთვისაც კი წესს უღებდნენ:

ღილაზე მეფე ქვეშაგებიდგან რომ წამოდგებოდა, ჯერ წერილები უნდა წაეკითხნა. სხვა და სხვა ადგილებიდან მოსდიოდა ეს წერილები. მასუკან უნდა ებანაენა, თეთრი ტანისამოსი უნდა ჩაეცვა და სამეფო ღირსების ნიშნები უნდა შეემოსა; მერე ღმერთებს შესაწირავსა სწირამდა. შეწირვის დროს მთავარი ქურუმი მეფეს გვერდით მოუდგებოდა და მაღალის ხმით ღმერთებსა სთხოვდა, რომ მეფეს მოსცენ სიმრთელე და სხვა ყველა სიკეთე. ამასთანვე იმის სიკეთეს მოსთვლიდნენ: რომ ღვთის მოშიშია, ადამიანის მოყვარეა, თავის თავის შეკავება იცის, სამართლიანია, მოწყალეაო; რომ ტყვილის მოშიშია, ღარიბს გულიანათ მოწყალეობას აძლევსო; რომ როცა დამნაშავეს მაგიერს ახდევინებს, ყოველთვის სასჯელი დანაშაულობის დაგვარათ მსუბუქია და როცა ასაჩუქრებს კაი საქმისათვის, საჩუქარი მოღვაწებაზე უმეტესიაო.

შარაონებისთვის ადრევე წესდება იყო: როგორ უნდა გაატარონ სიცოცხლე. შარაონებს ვალათ ედვათ კანონების ასრულება. სადილზე ხბოსა და მომწვარი ბატის ხორცს მოართმევდნენ ხოლმე (ქურუმებიც ამ საქმელსა სჭამდნენ). ბევრი ღვინის სმა ფარაონებს არ შეეძლოთ. სიმთვრალე აკრძალული ჰქონდათ.

მაგრამ ყველა ფარაონები კანონის დაგვარათ

არა ცხოვრობდნენ. ამ ეთქვათ ამაზის-ფარაონს ღვინო და ლხინი ძალიან უყვარდა; ფული რომ შემოაკლდებოდა ქურდობითა შოულობდა. მაგრამ ყველა ფარაონებზე კი ჭკვიანი იყო.

მეგიპტის მეფეს საშინლათ დიდი კერძობა, კარის კაცები ჰყვანდა. მეფის სასახლეები მდიდრათ იყო დამშვენებული. შარაონი შინაც კი ყოველთვის კერძობით (ამალით) დადიოდა: მეფის გვარის-შვილები, მეფის სასახლის სამსახურის კაცები, ჯარის უფროსები, ქურუმები და მწერლები თან დასდევდნენ. მძიანობაში მეფეს ყოველთვის გვამის-მცველების უფროსები და შუბოსნები თანა ჰყვანდა. ძოღვებით მსახურები ყოველთვის წინ უდგნენ. სასახლეს ყურს უგდებდნენ მრავალნი მსახურები და ცალკე ზედამხედველები. მეფებს სხვა და სხვა ნახირი და სათადარიგო ამბრები ჰქონდა. სახლის მორთულობა, სკამები, ნაწებები, ცხენის მოსართავეები სულ ოქროთი იყო შექცდილი.

როგორც ხარის აპისის სიკვდილზე, ფარაონის სიკვდილზედაც ისე სამოც და ათი დღე მეგიპტის ხალხი საერთოთ ყველა გლოვობდა. ტანისამოსს ზედ იფხრეწდნენ; ტაძრები იკეტებოდა; ღმერთებს შესაწირვს აღარა სწირავდნენ და 72 დღე უქმე და დღესასწაული აღარ იცოდნენ. ძაცი და დედაკაცი თავზე ნაცარს იყრიდა; ტილოს სარტყელს შემოირტყამდნენ წელზე, 200—300 კაცი ჯგუფ-ჯგუფათ დადიოდნენ და დღეში ორჯელ მაღალის

ტირილით და გალობით რიგს უხდიდნენ მიცვა-  
ლებულ მეფეს და იმის საკეთეს აქებდნენ. ამ  
დღეებში ეგვიპტელები კაი საჭმელს არა სჭამდნენ  
და არც ხორცსა; ღვინოს არა სვამდნენ, აბანოში  
არ მიდიოდნენ. ყველა ისე მძიმე ნალველში იყო,  
თითქო ღვიძლი შვილი დაჰკარგოდესო. ბლოვის  
უკანასკნელ დღეს მეფესა მარხამდნენ.

მევიპტეში კიდევ ერთგვარი ხალხი ბყო; მე-  
როე ადგილი ეჭირა. ამ სახელმწიფოში ქურუმები  
მეფეს თავიანთგან ირჩევდნენ. **თუ** მეფე ისე არ  
განაგებდა, არ უვლიდა სამეფოს, როგორც ქურუმებს  
უნდოდათ, მოციქულს გაუგზავნიდნენ. მოცი-  
ქული მივიდოდა და ეტყოდა: „ღმერთებმა ბძანეს,  
მეფევ, მოკვდიო“. მეფე ღმერთების ნებას ემორ-  
ჩილებოდა. მეროეში ყველა მეფე ღმერთსავითა  
სწამდათ. შინც თავისნებით მეფესთან მოკვდებოდა,  
ის მეფის ერთგული და პატიოსანი კაციაო, ამბო-  
ბდნენ. მეფე რომ რითიმე ავით გამხდარიყო, იმისა  
მეგობრებიცა ცდილობდნენ იმავე სწეულობით თავი  
მოეფანთყოფებინათ. მეფეს რომ კოჭლობა  
დამართებოდა, სწორე სიარული უმართებულო  
ეგონათ, თუ იმათაც არ ეკოჭლათ. მეფის უფლებ-  
ა ხალხზე (ქვეშემვრდომებზე) საშინლათ გადამე-  
ტებული იყო. მეფეს რომ ვისიმე სიკვდილით დას-  
ჯა სდომებოდა, მსახურს უგზავნიდა სასიკვდი-  
ლო ნიშნითა, და ის თავის თავათ თავს იკლა-  
მდა.

4.

კ ა ს ტ ე ბ ი .

მგვიპტის ხალხიც კასტებათ იყო დაყოფილი. პირველი თავი კასტა ქურუმებისა (მღვდლებისა) იყო; მერე ჯარის კაცებისა; იმაზე ძალიან დაბალი — ხელოსნებისა და ყველაზე დაბალი მწყემსებისა იყო. მწყემსს მარტო მწყემსის ქალის შერთვა შეეძლო. მწყემსებს თითქმის ტაძარშიაც არ უშვებდნენ.

ქურუმებს ყველაზე მაღალი ადგილი ეჭირათ. ღმერთებს შესაწირავს ისინი სწირავდნენ და მოსამართლეებსაც იმათგან არჩევდნენ. მეფე ქურუმების რჩევას ყურს უგდებდნენ, დიდ მიწებს აძლევდნენ საჩუქრათა და ყველაზე მდიდრები იყვნენ. ჯარის კაცებს (კეთილშობილებს) იმათზე კარგა ნაკლები შეძლება ჰქონდათ. მარტო ქურუმებს შეეძლოთ სწავლა; მარტო იმათ იცოდნენ წიგნის წერა, წამლობა და შედგენა კალენდარისა (თვისა და წლის ანგარიშის წიგნის, რა დღეს რა უქმე იქნება და სხვა).

მგვიპტელები ყველანი „ზომის გადამეტებით ღვთის მოშიშნი“ იყვნენ ყოველ წვრილმან საქმეში; ძალიანი სისუფთავე იცოდნენ, ტილოს სუფთა ტანისამოსს იცვამდნენ, მარტო სპილენძის ქუ-

რქლითა სვამდნენ წყალსა და მუდამ დღე სწმენდ-  
დნენ. ქურუმების სისუფთავის კანონები ყველაზე  
უფრო სასტიკი იყო. სამდღეში ერთხელ მთელი  
ტანის ბალანი უნდა მოეპარსათ, მეტადრე წვერი  
და წარბები; ღამე ორჯელა ბანაობდნენ; მარტო  
ტილოს ტანისამოსი უნდა სცმოდათ; თითო ცო-  
ლი უნდა ჰყოლოდათ, სხვა ეგვიპტელებს ბევრი  
ცოლის შერთვა შეეძლოთ. შველა ეგვიპტელს  
ლობიოს ჭამა ცოდვა ეგონა, ქურუმებს თითქმის  
ყურებაც კი ცოდვით მიაჩნდათ. ქურუმები ყველა-  
ზედ კი მდიდრები იყვნენ; მუდამ დღე იმათთვის  
საღმთო პურს აცხობდნენ, ბატი, ხორცი და ღვი-  
ნო ბევრი მისდიოდათ, მაგრამ თევზისა და ღორის  
ხორცის ჭამა არ შეეძლოთ.

აქა კაცები იმათზე ნაკლებათ იყვნენ მიჩ-  
ნეულნი. ისინი მარტო ჯარის (სამხედრო) ხელო-  
ბასა სწავლობდნენ. ეგვიპტელებს ცხენოსანი ჯა-  
რი ცოტა ჰყვანდათ, ქვეითი კი ბევრი. ჯარი ხშირ  
რიგ-რიგათა დგებოდა და ბაირაღები ჰქონდა. თავ-  
ზე ჩაჩქანი (რკინის ქუდი ომში სახმარებელი) ეხუ-  
რათ, ხელში დიდი ფარები ეჭირათ. შეიარაღებუ-  
ლები იყვნენ შუბით, მახვილით, ნაჯახით და ხანჯ-  
ლითა. საყვირის დამკვრელნი წინ მიდიოდნენ.  
მსროლელნი მშვილდ ისარს ისროდნენ.

ღაბალი კასტის კაცის ყოფა ცოტა რომ საპა-  
ლის პირუტყვზე უკეთესი იყო. ისინი მაღალი  
კასტების მონები და ყმები იყვნენ. არ შეეძლოთ



ჰქონდათ ადგილ-მამული. მიწა მეფისა, ქურუმებისა და ჯარის კაცების ხელში იყო. ხელოვანს რომ თავისი ხელობისაგან ხელი აელო, ძალიანა სჯიდნენ. მაგრამ ხალხი დიდი იყო; შეეძლო გადდიდრებულიყო, გაღონიერებულიყო და მაღალი კასტები გადმოეგდო... ამისთანა საქმე რო არ მოხდესო ფარაონები და ქურუმები ხალხს ამუშავებდნენ უსარგებლო შენობაებზედ. ასე უბრალო ხალხს სხვა და სხვა საფლავები, პირამიდები და ობელისკები უნდა ეშენებინა. შუგულო მუშაობაზე მუშა კაცსა ლახავდნენ; დედაკაცსაც კი. მრთი დიდი ქვის მოტანაზე სამი წელიწადი 3000 კაცი მუშაობდა. მრთი პირამიდის აშენებაზე 360,000 სული ოცი წელიწადი მუშაობდა... ნახაო მეფემ უბანა ერთი არხი მოეთხარათ; იმისი მუშაობაში 120,000 მუშა კაცი გაფუჭდა. ამ გვართ არა ზოგავდნენ იმათ სიცოცხლესა!...

მგვიპტელების კანონები სისტოკი იყო. ღამნაშავეს მათრახითა სცემდნენ და შიმშილითა ჰკლამდნენ. მისაც ფული, საბეჭდი ბეჭედი, ქალღმერთი ყალბი გაეკეთებინა, ორსავე ხელებს მოსჭრიდნენ. ჯარის სამსახურში ღამნაშავეს ჯოხითა სცემდნენ. სოლი რომ ქმრის ორგულთ გამოჩენილიყო, ცხვირს მოსჭრიდნენ, ქმარსაც ათასი უნდა დაჰკვროდა. შურდობაზე ეგვიპტელებს უცნაური კანონი ჰქონდათ. მისაც ქურდობის ხელობის დაჭერა უნდოდა, ქურდების უფროსთან ეწერებოდა; რაკი

რასმე მოიპარამდა, მაშინვე უფროსთან მიჰქონდა. მაქურდულ კაცს იმავე უფროსთან უნდა წაედგინა მოპარული ნივთების სია და სადა და რა დროს დაეკარგა—უნდა დაენიშნა. მასუკან რაც ნივთები ღირდა იმის მეოთხედი ფასი უნდა მიეცა და ისე დაეხსნა თავისი ნივთები.

მგვიპტის ხალხი ძალიან შეწუხებული იყო მძიმე მუშაობითა, ღარიბათ დადიოდა, ტანისამოსის მაგიერათ მარტო ერთი სარტყელი ერტყა... ამასთან ძალადი კასტის კაცები კი გაწყობილათ და მხიარულათა ცხოვრობდნენ. იმათ ცოლებს და ქალებს ბევრი მონები ემსახურებოდნენ; პირის ფარეშათ მონები იყვნენ: უნდა მიერთმეფინათ სურნელი წასასმელები, სხვა და სხვა მორთულობა და ოსტატურათ უნდა დაეხარცხნათ თმა. სუფრა სამსე იყო სასმელ საჭმელით და სხვა და სხვა ჭურჭლეულობით. მეტის მოლხენისათვის სადილის დროს მკვრელი კაცები და დედაკაცები სხვა და სხვა საკრავს უკრამდნენ; სხვანი მღერობდნენ და ცეკვაობდნენ; ხანდის ხან თითონ სტუმრებიც ასე ჩადიოდნენ. აგრეთვე ჭანდრაკის და კამათლის თამაშობა და ბურთაობაც იცოდნენ. მდიდრების სახლები საკმაოთ მოწყობილი იყო და ბევრი სხვა და სხვა მორთულობა ჰქონდა; მორთულობა სულ ლამაშათ ფერადით იყო დახატული. ჰქონდათ სტოლი, სკამი, კრესლო (საფარძელი) და დივანი (ზურგ მისაყუდებელი პატარა რბილი ტახტი); სასეიროთ

და სიცხეში ჩრდილ ქვეშ მოსასვენებელათ ბაღე-  
ბიცა ჰქონდათ; ვენახები, ხეხილის ბაღები და ყვავი-  
ლის ბაღებიცა ჰქონდათ.

5.

**ხელოსნობა და ხელოვნება.**

მგვიპტელებს მწყემსები სძულდათ; მაგრამ  
ეს ხელობა იმათ ხელს აძლევდა; იმიტომ კიდევ  
მაინც და მაინც დიდი ნახირი ჰყვანდათ ძროხისა,  
ვირისა, ცხენის ჯოგი, ცხვრის ფარა, ქათამი, ბატი  
და სხვა შინაურ მფრინველი. ბევრი ღორიცა ჰყვა-  
ნდათ, თუმცა კი უწმინდური ეგონათ. ამას გარდა  
ხნა-თესვა იცოდნენ. ჰაერი თბილი იყო და მი-  
წაც ძალიან მომცები ჰქონდათ, მომატებული  
შრომაც არ უნდოდა. მიწას არცკი ხნამდნენ, არცა  
ბარავდნენ; ადიდების უკან წყალი რო იკლებდა,  
პირდაპირ შლამზე სათესს დასთესდნენ და საქო-  
ნელს გაუშვებდნენ ზედა, საქონელი ჩასტკეპნიდა  
თესლსა; ეგვიპტელი კაცი გულებიერთ მკის  
დროს ელოდებოდა. პურს ხარითა ჰლევდნენ და  
თავზე მდგომი დამღეროდა: „გალეწე ხარო,  
გალეწე! გალეწე შენი ბატონისთვინა და შენთ-  
ვინაო.“

მგვიპტეში მოსავალი ნილოსის ადიდებაზე  
ეკიდა. ნილოსმა ხან ძალიან ადიდება იცოდა, ხან

ძალიან პატარათა. ამისა გამოთ ეგვიპტელებმა მერიდის ტბა აშოსთხარეს; ნილოსის პატარობის დროს, ამ ტბიდგან გამოუშვებდნენ ხოლმე წყალსა. სხვა არხებიც იყო გატანილი. ნილოსიდან ამ არხებით შორს მიდიოდა წყალი, ასე რომ დაბლობებში სახნავე-სათეს ადგილებს სულ იჭერდა.

მერიდის ტბის ახლოს მეფის სასახლე ლაბირინტი იყო აშენებული. ამ სასახლეში 12 დახურული ეზო იყო: ექვსი ჩრდილოეთისაკენ, ექვსი სამხრეთისაკენ, კარებები ერთმანერთის პირდაპირა ჰქონდა. ოთახები სულ 3,000 იყო; ნახევარი (1,500 ოთახი) მიწის ქვეშ იყო, ნახევარი მიწის ზემოდამ. ოთახებს ძალიან ბევრი შესავალ-გასავალი ჰქონდა და სასახლეს ქვითკირის გალავანი ერტყა. ამ გალავნის კედელში ერთიანი ქვის დახურული შესავალი იყო; ქვაზე ჩუქურთმა იყო ამოჭრილი. მოსული კაცი ამ სასახლის ნახვაზე ჰკვირდებოდა.

სასახლის აშენება და ქვის გათლა ეგვიპტელებმა კარგათ იცოდნენ. ოქრო და ვერცხლი საუცხოვოთ გამოჰყვანდათ. სპილენძი სინა—მთასახლოს გამოჰყვანდათ. ეგვიპტელი ფეიქრები საუცხოვოთა ქსოვდნენ ქსელსა; იმათი თხელი ქსელი ძალიან მაგარი იყო. მინის ჭურჭლების გაკეთებაც იცოდნენ.

ეგვიპტელებმა დასაწყრათ სხვა და სხვა ნიშნები და გამოხატულობა (ფიგურები) მოიგონეს.

ამ გამოხატულ ნიშნებს იეროგლიფებს ეძახდნენ. ყველა ნიშანი თითო სიტყვასა ნიშნამდა: მზის თვალი ღღეს ნიშნამდა, სირაქლემის (\*) ფრთა სიმართლეს ნიშნამდა და ასე ამ გვარათა. ამისთანა ნიშნებით წერა ძნელი იყო: რადგანაც ყველა სიტყვისთვის თითო ნიშანი უნდა ყოფილიყო და რამდენი სიტყვაა, რომ ყველას თითო ნიშანი ჰქონდეს! მეგიპტეში ერთი განიერ ფოთლიანი ბალახია პაპირუსი; იმის ქალღმერთს აკეთებდნენ დასაწერათა. მეგიპტის ქურუმებმა ასტრონომია (სწავლა მეცნიერება, ვარსკვლავების, მზისა, მთვარის შესახებ), იცოდნენ; პირველათ იმათ გაჰყვეს წელიწადი თორმეტ თვეთა და 365 დღეთა. ეს მოიგონეს 1700 წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდინ.

მეგიპტელებმა აგრეთვე კარგა იცოდნენ ფერადი წამლის გაკეთება. აკელდამებზე და ტაძრებზე სახეები გამოჰყვანდათ. ამ სახეებზე მეფეებსა და ჯარსა ხატავდნენ ხოლმე.

## 6.

**მეგიპტელებს უცხო მკვლევართან რა ერთობა ჰქონდათ.**

მეგიპტელებს ძალიან ეშინოდათ, რომ სხვა

---

(\*) სირაქლემი ან სტრაუსი იქაური მაღალი დიდი შფრინველია.

ხალხთან არ აირივნენ; თითქმის იმათთან საქმის დაჭერისაც კი ეშინოდათ. თავი ყველა ხალხზე ძალიან მოჰქონდათ, თავიანთ ქვეყანას ეგვიპტელეს „წმინდა ქვეყანას“ ეძახდნენ; სხვა ქვეყნები კი უწმინდურიაო. ეგვიპტელები უცხო ქვეყნის კაცთან ერთად ერთ სუფრაზე არას დროს არ დაჯდებოდნენ პურის საჭმელათა; იმ ჭურჭლით, რა ჭურჭლითაც უცხო ქვეყნელი სვამდა, არაფერს აღარ დალევდნენ; უცხო ქვეყნელის ქვაბში მოხარშულ ხორცს არა სჭამდნენ; უცხოეს დანით არაფერს არ გასჭრიდნენ, რადგანაც ყველა უცხო ქვეყნელები და იმათი ჭურჭელი უწმინდური ეგონათ.

შაგრამ მაინც და მაინც ვაჭრობა სხვა ხალხებთან საქმეს აჭერინებდა. ვაჭრობა უფრო ქარვინებით იყო. ძველ დროებში გზებზე დიდი ავაზაკობა იყო; მარტო კაცს გზაზე არ წავსვლებოდა. ამის გამოთ ვაჭრები ერთად იყრებოდნენ და შეიარაღებულები გაემგზავრებოდნენ ხოლმე. საქონელი აქლემებით გადაჰქონდათ, იმიტომ რომ აქლემს დიდ ხანს უწყლოთ გაძლება შეუძლიან. გზა ქვიშიან უდაბურზე მიდიოდა, წყალი იშვიათად შეხვდებოდა კაცსა. და აქლემს უწყლოთ რამდენსამე დღეს სიარული შეუძლია. ამისთანა გზაზე, საცა პატარა წყალსა ნახამენ ტყითა და ბალახით ამწვანებულსა, ჩამოხდებიან ისვენებენ და წყალსა სმენ. ამისთანა ადგილს **მ** აზ ისი ჰქვი-

ან. ამ ოაზისებზე მალე ტაძრები და სალოცავები ააშენეს. ხალხიც იქ სალოცავათა და სავაჭროთ იყრებოდა. სხვა ვაჭრობა ზღვით იყო.

სხვა გვართ კი ეგვიპტელები უცხო ქვეყნელებს მტერსავით უყურებდნენ. ეგვიპტეში იოსებ თავისის ნათესავებით, ურიებით რომ მოვიდა და ურიები მწყემსობდნენ, — ეგვიპტელები ძალას ატანდნენ, რომ ხნა-თესვაზე ყოფილიყვნენ. პირამიდის აშენებაზე და მუშაობაზე იმათაც აწვალებდნენ. მრთ შარაონს იმათი მოგროება და ნილოსში ჩაყრა უნდოდა კიდევცა. ურიებს ძალას ატანდნენ ეგვიპტელების ადათი აესრულებინათ, შესაწირავები შეეწირათ წმინდა პირუტყვებისთვისა. ურიებს ეს პირუტყვები კი სძულდათ. ბძანება იყო კიდევც: ურიების ყმაწვილი ვაჟი-შვილები დაეხლცათ, რომ ეს ხალხი ამოწყდესო. ამისთანა შევიწროებისაგამოთ მოსემ ურიის ხალხი მოაგროვა და ეგვიპტიდგან გაიყვანა.

თავისის მხრით ეგვიპტის მეზობელი, მომიჯნე ხალხებიც ეცემოდნენ ხოლმე ეგვიპტესა და, როცა შეეძლოთ, იმათ სიმდიდრეს იკლებდნენ და მიჰქონდათ. ეგვიპტე ჯერ ველურ ხალხებმა დაიჭირეს, მერე სპარსელებმა, რომაელებმა, არაბელებმა და სხვებმა... ძველი ეგვიპტის ხალხი ნელნელა ამოწყდა. ბალაზინით შემურვილი გვამები უფრო ბევრი აღგილიდამ დასძრეს; მარტო ობელისკები და პირამიდები აგონებენ კაცს ამ ხალხის ქვეყა-

ნაზე ყოფნასა . . . მაგრამ ესენიც ბევრი ადგილი-  
დამ დაუძრამთ და მევიპტიდამ გადუტანიათ რომ-  
ში, პარიჟში და სხვა ქალაქებში. პეტერბურშიაც-  
კია სფინქსი.





931/939

o 567

*[Faint, illegible handwritten text]*